# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 აპრილი 2007 №74 (2997) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომში, როგორც ომში!



AFP ლონდონიდან

## 1:1

ვალენსიას ლონდონიდან კარგი ანგარიში და განწყობა მიაქვს



AFP რომიდან

## გლადიატორებმა და კარაბინერებმა ინგლისელებს ანგარიშიც გაუტეხეს და თავებიც



AFP რომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე მეტწილად საზოგადოებასთან ურთიერთობას კურირებს. გუშინ მას ფედერაციაში ვესტუმრეთ და საზოგადოებასთან ურთიერთობის გარდა სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ. ფედერაციის საქმიანობა ყველაზე უფრო მაინც ეროვნული ნაკრების შედეგით უნდა შეფასდეს, კლაუს ტოპმიოლერის გუნდი კი ევროშესარჩევში ჯერ მხოლოდ ფარერებს უგებს. ქავთარაძესთან ინტერვიუც ნაკრებზე საუბრით დავიწყეთ...



# პრეზიდენტი მხარს უჭერს ფეხბურთს და ფედერაციას

## დამატებითი შემოსავლები იქნება

— როგორ აქტყობთ, რანაირად აფასებს საზოგადოება კლაუს ტოპმიოლერის საქმიანობას და საერთოდ ნაკრების თამაშს?

— ფარერებთან მატჩის შემდეგ პრესაში და, ვფიქრობ, საზოგადოებაშიც ნეგატიური დამოკიდებულება იყო მეორე ტაიმის გამო. კრიტიკა გამოიწვია კლაუს ტოპმიოლერის ამასწინანდელმა ინტერვიუმ „სარბიელშიც", მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ვითარების დრამატიზებად არ ღირს. გუნდი კარგად თამაშობს — დამოკიდებულება პოზიტიურია, ცუდად თამაშობს — ნეგატიური. ეს სავსებით ნორმალურია. აქტიურად ვმუშაობთ, რომ ნაკრებს დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს გულშემატკივრებისგან. ფაქტია, სანაკრებო თამაშებზე ახლა უკეთესი ატმოსფეროა, ვიდრე ორი წლის წინ. როგორც კი გუნდი გოლს გაუშვებდა, აგინებდნენ და უსტვენდნენ — ეროვნული ნაკრებისადმი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ საქართველოში და ერთ-ორ ქვეყანაში თუ იყო. ყოველივე ამის შეცვლას, ახალი ტრადიციების დამკვიდრებას წლები სჭირდება.

— ახლა რომ ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკითხვა, როგორ ფიქრობთ, გულშემატკივარი ხმას მისცემს ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის გაგრძელებას?

— დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერი ხმების დიდ უმრავლესობას მიიღებს.

— დარწმუნებული რატომ ხართ, უკვე ჩაატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა?

— სოციოლოგიური გამოკითხვა არ ჩაგვიტარებია და რომც ჩავატაროთ, ვერ გამოდგება კრიტერიუმად ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელებისთვის. ასეთი გამოკითხვა ობიექტური ვერ იქნება. ფედერაცია ტოპმიოლერის მუშაობით კმაყოფილია, ჩვენ მას მხარს ვუჭერთ.

— ფედერაციამ და მისმა უმაღლესმა ორგანომ, ალმასკომმა მხარი ნაკრების მანამდელ მწვრთნელ გაიოზ დარსაძესაც დაუჭირა...

— ის დროებითი მოვლენა იყო, ახლა ხომ ნაკრებს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ჰყავს და გუნდს პროგრესი ეტყობა.

— ისე გამოდის, რომ ფედერაცია თითქოს არ სთხოვს მაღალ შედეგებს ტოპმიოლერს...

— როგორ არა, შოტლანდიასთან გამარჯვება ფედერაციის მოთხოვნაც იყო. თუ ინფრასტრუქტურით ესა თუ ის ქვეყანა ჩვენზე მაღლა დგას, მასთან მოგებას არ ვითხოვთ — ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ჩვენ მწვრთნელის მიმართ მომთხოვნი ვართ, ტოპმიოლერი კი ამბობს, თუ გუნდის ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანმრთელად მეყოლება, შედეგი მექნებაო.

— ფედერაციის მასმედიასთან ურთიერთობაზე რას იტყოდით? ურთიერთობის პარტნიორული ფორმა თქვენთვის მისაღებია?

— ჩვენ რომ ვართ, მასმედიასთან ასეთი გახსნილი ორგანიზაცია ბევრი არ არის. ჩვენი ვებგვერდის გამოც არაერთი კომპლიმენტი მიგვიღია. უარს არ ვამბობთ ინტერვიუებსა და კომენტარებზე, ჩვენი პრინციპია გამჭვირვალობა და პრესის საშუალებით საზოგადოებისთვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება. პარტნიორობის სურვილს კი ყველა საინფორმაციო საშუალებიდან ვერ ვხედავთ.

— გამჭვირვალობა ახსენეთ და, რატომ უნდა ვიგებდეთ ტოპმიოლერის ხელფასის ოდენობას გერმანული გაზეთებიდან?

— მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმება მოხდა, რომ ეს კონფიდენციალური ყოფილიყო.

— მიმდინარე ევროშესარჩევი შემოდგომაზე ჩამთავრდება და დადგება საკითხი ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის გაგრძელებაზე — რა იქნება საიმისო კრიტერიუმი? ჯგუფში რამდენი ქულის დაგროვების შემთხვევაში იქნება აქტუალური ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივება?

— რეალობიდან გამომდინარე, სასურველი იქნება, ჩვენმა ნაკრებმა ციკლი 12-15 ქულით ჩაამთავროს, 12 ქულა მინიმუმის ზღვარია. მეორე კრიტერიუმი თამაშის ხარისხი იქნება და ისიც, თუ როგორ წარიმართება პროცესები ასაკობრივ ნაკრებებში.

— როგორია დამოკიდებულება ტოპმიოლერისა და ფედერაციის მიმართ სახელისუფლებო წრეებში?

— დანამდვილებით ერთი ვიცი — ქვეყნის პრეზიდენტი მხარს უჭერს ფეხბურთს და ფედერაციას.

— ჯერ კიდევ შარშანწინ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ხელისუფლება ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად შეიმუშავებდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამას — როდის გველირსება ეს?

— პროგრამა თვის ბოლოს გამომზეურდება და ამ პროგრამით ფეხბურთის ფედერაციისთვის დამატებითი შემოსავლები გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

# სირაძეზე მაინცსაც ამბობენ

**დავით სირაძე ზაფხულში მეოთხე გერმანული კლუბის მაისურას მოირგებს — ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. საქართველოს ნაკრების ფორვარდი ერცგებირგეს აუე-ში ბოლო მატჩებს ითვლის, მანამდე კი ჩვენიანს „უნიონ ბერლინში" და „ტრირში" უთამაშია. სირაძემ გვითხრა, არჩევანი საკმაოდ მაქვს და აუე-სთანაც საბოლოოდ ამიტომ ვიუარე კონტრაქტის გაგრძელებაო. ცხადია, დავითს ბოლო ორ სანაკრებო მატჩზეც ვესაუბრეთ.**

— მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „აუგსბურგთან" სრულად ითამაშე, არადა, კარგა ხანი ძირითადში ვერ ხვდებოდი.

— გული მოუბრუნდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. შედლიხი არცაა ჩემზე ნაწყენი, უბრალოდ, იცის, რომ ამ სეზონის შემდეგ აუე-დან მივდივარ და იმ ფეხბურთელების დაყენებას ცდილობს, რომლებიც შემდეგაც გუნდში ეყოლება.

— „აუგსბურგთან" 0:3 წააგეთ, რითაც ბუნდესლიგაში გადასვლის შანსები ძალიან შეგიმცირდათ...

— ასეა. ამ წაგებამ მერვე ადგილზე დაგვწია. ხვალ „ფიურტს" ვმასპინძლობთ და ალბათ ბოლო შანსია — თუ მოვიგებთ, კიდევ დაგვრჩება იმედი. თუმცა ადრეც მითქვამს, ძნელად რომ აუე ბუნდესლიგაში გადავიდეს.

— ვიცით, რომ „ფრაიბურგში" გადასვლაზეა ლაპარაკი. როდის გადაწყდება ეს საკითხი?

— ჩემი მენეჯერი ჯერ არ შემხმიანებია, თუმცა სადღაც ერთ კვირაში უნდა გაირკვეს ვითარება.

— „ფრაიბურგის" გარდა რომელი გუნდები არიან შენით დაინტერესებული?

— სამი-ოთხი გუნდია, ყველა გერმანული — ზოგი ბუნდესლიგელია, ზოგიც ბუნდესლიგაში გადამსვლელი.

— შოთა გრიგალაშვილი და ბექა გოცირიძე ორიოდ თვის წინ იყვნენ აუე-ში გასინჯვაზე და შედლიხმა თქვა, შეიძლება, ისინი კიდევ ჩამოვიდნენო. ამაზე არაფერია ახალი?

— არა, ამაზე არაფერი გამიგია.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც: ოფიციალურ მატჩებში ფარერებთან პირველი სანაკრებო გოლი გაიტანე.

— ძალიან გამიხარდა. მართალია, მეორე ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ და ცხრილში ერთი საფეხურით წავიწიეთ.

— მოგება კარგია, მაგრამ არა მგონია, თამაშის ხარისხით ნაკრების რომელიმე ფეხბურთელი კმაყოფილი დარჩენილიყო.

— პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მერე კი... ალბათ არხეინობის ბრალი იყო, რალაცნაირად მოვეშვით, მეტოქისთვის ბურთის წართმევას დიდად არ ვცდილობდით. რა თქმა უნდა, ეს იმის ბრალია, რომ ფარერებს ვეთამაშებოდით და არა საფრანგეთს. ფარერებზე ოდნავ ძლიერი გუნდი მაინც რომ ყოფილიყო, სხვა განწყობა გვექნებოდა. ასე კი მატჩის დაწყებამდე ვიცოდით, რომ მოვიგებდით.

— კლაუს ტოპმიოლერმა რა გითხრათ ამ თამაშის შემდეგ?

— ბევრი შენიშვნა ჰქონდა, თუმც ამით ნაკრები არ დანგრეულა. რაც უნდა იყოს, მოვიგეთ.

— შოტლანდიასთან მატჩში შეცვლაზე შეხვედი. რა დავალება მოგცა ტოპმიოლერმა?

— შეტევაში აქტიურობა დამავალა, მეც ხან მარჯვნიდან, ხან ცენტრიდან ვცდილობდი თამაშის გამწვავებას, მაგრამ არ გამოვიდა. დასანანი მატჩი წავაგეთ.

— როგორ ფიქრობ, შოტლანდიამ კლასით მოგიგოთ?

— არა, რა კლასით... გარდა იმისა, რომ დასანანი გოლი გავუშვით ბოლო წუთზე, ისიც გავითვალისწინოთ, რომ შოტლადია შინ თამაშობდა. უფრო მობილიზებული რომ ვყოფილიყავით, გლაზგოდან ქულას წამოვიღებდით...

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ „ფრაიბურგის" გარდა, სირაძის მომავალ კლუბად ბუნდესლიგის „მაინცსაც" ასახელებენ.

**ილია ნანობაშვილი**



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
60 წლის იუბილეს ულოცავს
თბილისის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს"
და ბათუმის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელს
გარი ქიქავას



# ДАЁШЬ МУМУ!

## გულშემატკივარი მუჯირს ითხოვს, მუჯირი — ვიზას

**რუსეთის** საელჩო საქართველოს ნაკრებისა და სამარის „კრილია სოვეტოვის" შემტევ დავით მუჯირს ვიზას ისევ უჯანჯლებს. ჩვენებურმა საქართველო — ფარერების შემდეგ რუსეთის პრემიერლიგის მესამე ტურის და თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩი უკვე გამოტოვა. ეს ორივე მატჩი სამარელებმა „მოსკვასთან" გამართეს.

„კრილიას" ხელმძღვანელობა შეშფოთებულია წამყვანი ფეხბურთელის არყოფნით, ხოლო კლუბის გულშემატკივრებმა წერილი აფრინეს რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოსთან. გულშემატკივრები რუსული ფეხბურთის შეფს სთხოვენ, რომ ჩაერიოს ამ საქმეში და ქართველი ფეხბურთელი მომავალი ტურისთვის მაინც იყოს კლუბში.

ქართველ გულშემატკივრებს ეხსომებათ, რომ მუჯირი შარშან „კრილია სოვეტოვის" საუკეთესო ფეხბურთელად ცნო სამარელმა მაყურებელმა, ხოლო ამ სეზონში კაპიტან ანდრეი გუსევის ტრავმის გამო უქმობისას ქართველს სამკლავურიც ჩააბარეს.

სავარაუდოდ, მუჯირს ვიზა დღეს უნდა მისცენ, თუ არა, ცოტა არ იყოს, პარადოქსული ვითარება შეიქმნება: ჩვენებური „კრილია სოვეტოვს" უცხოურ შეკრებებზე თუ შეუერთდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალექსანდრე იაშვილი მრგვალ რიცხვებში



**კვირას** „ფრაიბურგმა" სტუმრად „ბრაუნშვაიგი" 2:0 რომ დაამარცხა, ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილისა იყო და ამით ახალი არაფერი გვითქვამს. საინტერესო ისაა, რომ პირველ და მეორე ბუნდესლიგებში ეს „იაშის" 50-ე გოლი აღმოჩნდა.

ქართველ ფორვარდს პირველ ბუნდესლიგაში ექვსი სეზონი უთამაშია, 148 მატჩში 30 გოლი გაუტანია და 9 ყვითელი ბარათი მიუღია. იაშვილს საუკეთესო ბუნდესსეზონი 2003-2004 წლებში ჰქონდა, როცა 26 მატჩში 9 ბურთი შეაგდო, აქედან სამი კი „ვოლფსბურგს" უსახსოვრა — ეს „იაშის" ერთადერთი ჰეთ თრიქაა ბუნდესლიგაში.

„ფრაიბურგის" საუკეთესო ფეხბურთელს გერმანიის მთავარ ლიგაში ყველაზე მეტჯერ (11-11) „ლევერკუზენთან" და „ჰანზასთან" უთამაშია, „შტუტგარტის", „ვოლფსბურგის", „ბოხუმისა" და „კოტბუსის" კარი კი ყველაზე მეტჯერ (3-3 გოლი) დაულაშქრავს.

ეს რაც შეეხება ბუნდესლიგურ 30 გოლს, 20 ბურთი კი ჩვენიანმა მეორე ბუნდესლიგაში მიითვალა — აქედან 8 იაშვილმა მიმდინარე სეზონში შეაგდო: ბოლო ტურებში ხომ მას მიჯრით გააქვს. მთლიანად მეორე ბუნდესლიგაში „ფრაის" 9 ნომერს 101 მატჩი ჩაუტარებია და 13 გაფრთხილება მიუღია. საინტერესოა, რომ იაშვილი ერთხელაც არ გაუძევებიათ.

თუ მომდევნო ტურში ქართველი თავდამსხმელი „აუგსბურგთან" ითამაშებს, ეს მისი 250-ე, საიუბილეო მატჩი იქნება პირველ-მეორე ბუნდესლიგებში.

ამ სტატისტიკით იმის თქმა როდი გვინდა, თითქოს 10 სეზონში 50 გოლი სუპერშედეგი იყოს. მეტიც, თავდამსხმელისთვის ცოტაცაა, თუმც იაშვილს ბლომად საგოლე პასები აქვს და საერთოდაც, ბოლო სამი სეზონია, უკანდახეულ ფორვარდად, ზოგჯერ კი გამთამაშებლადაც თამაშობს.

**ილია ნანობაშვილი**

# ან შეკრება, ან ფეხბურთელი

## ამერში საკითხი ასე არ დგას

**საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ამერი" ორ ფრონტზე აპირებდა უმაღლესი შედეგის მიღწევას — ჩემპიონობა და თასი — ასეთი იყო მიზანი, მაგრამ მეორე წრეში იმდენი ქულა დაკარგა, რომ ახლა მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპს" რვა ქულით ჩამორჩება. „ამერი" თასის ნახევარფინალშია გასული და წლეულს, ისევე როგორც შარშან, ამ ტიტულისთვის იბრძოლებს. რატომ მოეცარა ხელი „ამერს" საჩემპიონო რბოლაში? ამერელთა მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს მეტწილად ამაზე ვესაუბრეთ...**



**— მეორე წრის დაწყების წინ გვითხარით, „ამერს" ფეხბურთელთა ამ კონტინგენტით თასისთვისაც შეუძლია ბრძოლა და ჩემპიონობისთვისაცო — ახლაც იმავე აზრზე ხართ?**

— „ოლიმპს" რვა ქულით ჩამოვრჩებით და ეს მნიშვნელოვანი სხვაობაა. თუმც ახლაც მიმაჩნია, რომ ამ რესურსით „ამერს" ორივე ფრონტზე შეეძლო ბრძოლა, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფრის გათვალისწინება ძალიან ძნელია — დისკვალიფიკაცია, ტრავმები... ბოლო ორ თამაშში ოთხი ტრავმიანი და ამდენივე დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი გვყავდა, რომელთაგან ოთხი „ამერის" საკვანძო მოთამაშეა. ამით არ ვამართლებ ჩვენს მარცხს ბოლო ტურში „ბორჯომთან", თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინამძღვრიშვილი, გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, მჭედლიშვილი, ჩიმაკაძე და ელბაქიძე თამაშამდე ერთი-ორი დღით ადრე დაბრუნდნენ 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების შეკრებიდან. „ბორჯომთან" ტრავმების შემდეგ პირველად ითამაშეს დიდავამ, ჯელაძემ და მესხმა...

**— კლუბი ყოველთვის არა არისვალდებული, გაუშვას ფეხბურთელი ასაკობრივი ნაკრებების შეკრებაზე...**

— ასეა, მაგრამ იანვარში არ გავუშვით ჩვენი ფეხბურთელები 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე და ხელმეორედ ამის გაკეთებას მოვერიდეთ — ნაკრებთა ინტერესებიც ხომ გასათვალისწინებელია.

**— ხმა გავრცელდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლი ერთ-ერთი გუნდი პრემიებს სთავაზობს იმ გუნდებს, რომლებიც მაღალი მიზნებისთვის არ იბრძვიან, მაგრამ ჩემპიონობისთვის შემართული გუნდებისთვის ქულების ართმევა შეუძლიათ...**

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ ვერაფერს დავადასტურებ.

**— მიგაჩნიათ, რომ „ოლიმპის" და „დინამოს" საჩემპიონო ბრძოლაში ველარავინ ჩაერევა?**

— ამ ორს ჩემპიონობის სხვაზე მეტი შანსი აქვთ, მაგრამ თუ არ ჩავთვლით ჩვენი და „დინამოს", ასევე „ოლიმპისა" და „ზესტაფონის" მატჩებს, მეორე წრეში ჩემპიონატის მოწინავე გუნდებს ერთმანეთში ჯერ არ უთამაშიათ — კიდევ არის იმის შესაძლებლობა, „ოლიმპის" და „დინამოს" დავაში სხვაც ჩაერიოს.

**— მეორე წრის წინ „ამერმა" სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ იაქტიურა, ორი ფეხბურთელი აიყვანა — ლადო კაკაშვილი და მიხეილ მესხი. „დინამომ" კი ოპტიმალურ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები დაიმატა — დავით დიღმელაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი. ყველაფერი ისევ და ისევ ალბათ სელექციისკენ მიდის...**

— დიდი სელექცია მართლაც არ ჩაგვიტარებია, იმედი მქონდა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც წინა სეზონშიც გვყავდა, უფრო მოტივირებულები იქნებოდნენ. ისე გამოვიდა, ვინც გვყავდა, ისევ იმათ იმედად დავრჩით. მიმაჩნია, რომ ამ კონტინგენტით კიდევ შეგვიძლია მნიშვნელოვანი მატჩების მოგება.

**— „ამერმა" მეორე წრის წინ რამდენიმე შეკრება გაიარა, რაც არცთუ მცირე თანხებთანაა დაკავშირებული. ზოგიერთ გუნდს, მაგალითად, „ოლიმპს", საერთოდ არ ჰქონია შეკრება და ფული ფეხბურთელების შენარჩუნებაზე, ახლების მოყვანაზე დახარჯა და ჯერჯერობით პირველ ადგილზეა. „ამერი" კი ნაკრების მატჩებით გამოწვეული პაუზის დროსაც უცხოურ შეკრებაზე წავიდა, მაგრამ... ხომ არ ფიქრობთ, რომ „ამერის" სტრატეგია ამ მხრივ გადასახედია?**

— უცხოური შეკრებები და ფეხბურთელების მოწვევა — ისინი ერთი მეორეს არ გამორიცხავენ. რაც შეეხება კონკრეტულ სტრატეგიას, ეს უფრო კლუბის ხელმძღვანელობის კომპეტენციაა. „ამერის" ხელმძღვანელობა ყველანაირად გვერდში უდგას გუნდს. ან შეკრება, ან ფეხბურთელების დამატება — ჩვენთან საკითხი ასე არ დგას.

**დავით თავართქილაძე**

ხუთი წელი არ არის ისტორია, ხუთი წელი მხოლოდ ისტორიის დასაწყისია, თუმცა ამ დასაწყისში ის მომავალი იკვეთება, უკვე გაკეთებულზე მეტი რომ გაკეთდება. დღეს „ამერი" ხუთი წლისა გახდა. გილოცავთ! სარბიელელები

# ნედ ზელიჩი: საქართველოს ტემპი სჭირდება, დინამოს ჩემპიონობა

## ავსტრალიელის რჩევა ქართველ მცველებს: ითამაშეთ დინჯად

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის დაწყების, მას შემდეგ ყველა აღნიშნავს თბილისის „დინამოს" დაცვის ხაზის გაძლიერებას. თბილისელებმა ზამთრის შესვენებისას ჯერ უცხოელი მცველები — ავსტრალიელი ნედ ზელიჩი და სლოვაკი მილოშ კრშკო შეიმატეს, შემდეგ კი ოდესის „ჩერნომორეციდან" საქართველოს ნაკრების ნევრი გიორგი შაშიაშვილი დაიბრუნეს. ამათ მწვრთნელმა დუშან უჰრინმა მარჯვენა ფლანგზე შოთა კაშია დაახვედრა და საქართველოს თასის ორ და ჩემპიონატის ხუთ შეხვედრაში ეს ოთხეული უცვლელად ათამაშა. შედეგიც ჩანს, მეორე წრეში „დინამო" ჯერაც ქულადაუკარგავია და ამ ხუთ მატჩში სულ ორი გოლი მიიღო.

„დინამოს" დაცვის ხაზის ახალი ლიდერიც, ცხადია, 35 წლის ნედ ზელიჩია, ვისაც ეგებ ადრინდელი სისწრაფე აღარც შერჩენია, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე ძალიანაც საიმედოდ თამაშობს...



— უკვე ორი თვეა, თბილისში ვცხოვრობ და ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, ბევრი მეგობარი შევიძინე და მათთან ერთად თავისუფალ დროსაც მშვენივრად ვატარებ — გვითხრა „დინამოს" ავსტრალიელმა მცველმა — ჩემპიონატშიც კარგად მიდის ჩემი და ჩემი გუნდის საქმეები. საქართველოში ბევრი კარგი ფეხბურთელია. ეს ის ლიგაა, სადაც ხშირია საინტერესო და დაძაბული მატჩები.

— საქართველოს ჩემპიონატი ისეთი დაგხვდა, როგორიც წარმოგედგინა?

— საქართველოში ჩამოსვლამდე აქაურ ჩემპიონატზე არანაირი წარმოდგენა არ მქონდა და, ცხადია, ვერ გეტყვით, ჩემპიონატმა ჩემი მოლოდინი გაამართლა თუ არა. ისე, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, თუმცა უკვე ისიც გითხარით, რომ საქართველოში ხშირია საინტერესო მატჩები.

— ბევრ სხვა ქვეყანაში გითამაშია. შეგიძლია, საქართველოს ჩემპიონატი რომელიმე ქვეყნისას შეადარო?

— პასუხი გამიჭირდება. ყველა ქვეყანაში თავისებურ ფეხბურთს თამაშობენ. მაგალითად, გერმანიაში უფრო ძალისმიერი ფეხბურთია, ტექნიკაზე მეტად აქცენტი გამძლეობასა და სისწრაფეზეა გადატანილი. იაპონიაშიც ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, თუმცა, რა თქმა უნდა, იქ სისწრაფეც გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში. კარგი იქნება და აუცილებელიც არის, რომ ქართულმა გუნდებმა კიდევ უფრო სწრაფად ითამაშონ.

— საქართველოს ნაკრების მატჩებს თუ უყურებ?

— მაინცდამაინც მაღალი ტემპი არც საქართველო — ფარერების ბოლო მატჩში იყო. ჯერჯერობით საქართველოს ნაკრების მხოლოდ ეს ერთი შეხვედრა და თურქეთთან თამაშის რამდენიმე წუთი ვნახე. ერთი მატჩით კი ძალიან ძნელია რაიმე შეფასებისა და დასკვნების გაკეთება. ფარერებთან ყველა ელოდა, რომ საქართველო დიდი ანგარიშით მოიგებდა, ასეთ დროს კი, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ძნელია სრულად კონცენტრირება. მითხრეს, საქართველოს უკრაინასთან, იტალიასთან და შოტლანდიასთან ტოლ-სწორად უთამაშია, თუმცა ეს მატჩები არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი.

— როგორ ფიქრობ, დღევანდელ „დინამოს" ევროპულ სარბიელზე როგორი შედეგი ექნება?

— იცით, მეორე ნაბიჯამდე პირველი ნაბიჯი უნდა გადადგა. „დინამოს" კი ევროტურნირებამდე ჯერ ჩემპიონის ტიტული აქვს დასაბრუნებული. ასე რომ, მოდით, „დინამო" ჯერ ჩემპიონი გახდეს და ჩვენს ევროპულ შესაძლებლობებზე მერე ვილაპარაკოთ.

— კეთილი, ევროპულ შანსებზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა ისევ ეროვნულ ჩემპიონატსა და „დინამოზე" ვთქვათ. რაც „დინამოში" თამაშობ, რა შეამჩნიე, ყველაზე მეტად რა აკლია შენს გუნდს და რომელ პოზიციებზე უჭირს?

— რა აკლია გუნდს და რომელ პოზიციებზე უჭირს, ამაზე, ბოდიში, მაგრამ ვერ გიპასუხებთ, ეს ჩემი თანაგუნდელების მიმართ არაკორექტული იქნება.

— მაშინ ეს გვითხარი — რომელიმე ქართველმა ფორვარდმა უკვე თუ დაგამახსოვრა თავი?

— წინამძღვრიშვილმა და დარასელიამ. „ამერის" ფორვარდი ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელია, თუმცა ეტყობა, რომ ნიჭიერი ფეხბურთელია და ისეთი მონაცემები აქვს, კარგი ფეხბურთელი გაიზრდება. დარასელიას კი „დინამო" — „სიონის" მატჩისას შევხვდი, ის ბევრს მოძრაობდა და თან ძალიან ტექნიკურია.

— გუნდებიდან რომლებს გამოარჩევ?

— ჯერჯერობით ყველაზე კარგად „ამერი" გავიცანი, რაც აქ ვარ, ამ გუნდს „დინამო" უკვე სამჯერ ეთამაშა. ვფიქრობ, „ამერი" ერთ-ერთი საუკეთესო ქართული გუნდია. გაგვიჭირდა „სიონთანაც", ბოლო წუთს მოვუგეთ. მესმის, რომ „სიონი" მათ კარში ბოლო წუთზე დანიშნულმა პენალტმა ალაშფოთა. ასეთ შემთხვევაში ყველა გუნდს „სიონის" მსგავსი რეაქცია ექნებოდა.

— 35 წლის ფეხბურთელი ახალგაზრდა ქართველ მცველებს რას ურჩევდა?

— უფრო მეტად აგრესიულ და ხისტ თამაშს. კიდევ სიდინჯეს, რაც ქართველ მცველებს განსაკუთრებით ბურთის საჯარიმოდან გამოტანისას აკლიათ. ასეთ ვითარებაში მათ ნერვიულობა და დაძაბულობა ეტყობათ და ხშირად ბურთს ან კარგავენ, ან სადაც მოუხდებათ, იქით ურტყამენ.

— ამ კვირაში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მატჩებია. შენ „ბაიერნს" ქომაგობ?

— დიახ, „ბაიერნს" და იცით რატომ?

— ნახევრად გერმანელი ხარ და შენი ოჯახიც გერმანიაში ცხოვრობს...

— ცხადია, ესაც არის, მაგრამ „ბაიერნს" უფრო იმიტომ ვქომაგობ, რომ ამ გუნდის მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდია, მასთან და მის თანაშემწე ჰენკესთან ერთად კი „დორტმუნდში" სამი წელი ვიყავი და ურთიერთობა დღემდე ორივესთან მაქვს. ჰიცფელდისა და მისი გუნდის გამარჯვება ყოველთვის მესიამოვნება. ვფიქრობ, „ბაიერნი" მილანში ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ ცალი ფეხით უკვე ნახევარფინალშია. იქ კი, იმედი მაქვს, ჰიცფელდი კიდევ მოიგებს და „ბაიერნს" ფინალში გაიყვანს, რაც მისთვის პირველი და მეორე ფინალი არ იქნება.

**ქობა ინასარიძე**



# მამალაძე მსაჯებზე არ ლაპარაკობს, სიონზე რამდენიც გინდა...

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში თბილისის „დინამოსა" და ბოლნისის „სიონის" მატჩი გამორჩეული იყო. განსაკუთრებით კარგად გაისარჯა ბოლნისელთა მეკარე ზურაბ მამალაძე. ყოფილი დინამოელი ბოლო წუთამდე კარს მშრალად ინახავდა, მაგრამ სანდრო იაშვილის თერთმეტმეტრიანს ველარაფერი მოუხერხა. „დინამოდან" წასვლის შემდეგ მამალაძე თითქოს ჩაიკარგა, თუმცა იგი ჯერ 25 წლისაა და თუ ასე გააგრძელა...

— ხშირად ხდება ხოლმე, ფეხბურთელი თავის ყოფილ კლუბთან განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. შენ ყოფილი დინამოელი ხარ...

— „დინამოში" არავისთან არანაირი დაპირისპირება არ მქონია, ასე რომ, რაიმე განსაკუთრებულ ჟინსა და ჯიბრზე ლაპარაკი ზედმეტია. ყველა მეტოქესთან ერთნაირად მობილიზებული ვარ და ამ შემთხვევაშიც ასე იყო. თამაში მართლაც კარგად წამივიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც დავმარცხდით.

— მსაჯების მიმართ „სიონს" პრეტენზია ჰქონდა...

— მსაჯობაზე საუბარი არ მიყვარს და ვერაფერს გეტყვით.

— დიდი ხანი არ არის, რაც „ჩიხურადან" „სიონში" გადახვედი. ახალ კლუბს როგორ შეეთვისეთ?

— არაერთ კლუბში მითამაშია და შემიძლია ვთქვა, რომ აქ ყველაზე უკეთ ვარ. კახა ცხადაძე და მეკარეთა მწვრთნელი დავით ასლანაძე ყველაფერს აკეთებენ, რათა თავი შინაურად და მშვიდად ვიგრძნო. „სიონში" კარგი კონტინგენტია შეკრებილი და მეგობრული გუნდიც ვართ. კონტრაქტით ექვსი თვე დამრჩა, შემდეგ ვნახოთ...

— თასის ნახევარფინალში შარშანდელივით „ამერს" ხვდებით...

— ჩემპიონობის შანსი აღარ გვაქვს და ყველა ამ შეხვედრებზე ვფიქრობთ. „ამერი" კარგი გუნდია და მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა თასის აღებაა.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩხეტიანი-მელქაძე: პირველ-პირველი

**ავსტრიის** პირველ დივიზიონში ორი ქართველი თამაშობს: ლუშტენაუს „აუსტრიაში" მირზა ბჟალავა, ხოლო „ჰარტბერგში" გივი ჩხეტიანი. 24-ე ტურში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში მასპინძელ „აუსტრიას" 3:1 3:1 გამარჯვებით დასრულდა, რომლის განაცხადშიც არ იყო ბჟალავა. „ჰარტბერგის" ერთადერთი და თავისი პირველი ავსტრიული გოლი კი სწორედ ჩხეტიანის ანგარიშზეა. „აუსტრია" 38 ქულით ცხრილის შუაშია, ხოლო „ჰარტბერგი" 22 ქულით 11-ეზე, გასავარნდ ზონაშია.

პირველი გოლი გაიტანა ყაზახეთში ყარაგანდის „შახტიორის" თავდამსხმელმა ლევან მელქაძემ. ჩემპიონატის მეორე ტურში „შახტიორმა" 5:1 მოუგო „იესტი-ბოგატირს", ჩვენებურის ანგარიშზე ყარაგანდელთა მეხუთე გოლია. მელქაძემაც და „შახტიორის" მეორე ქართველმა გიორგი გაბიდაურმაც სრულად ითამაშეს. ორი ტურის შემდეგ „შახტიორს" 4 ქულა აქვს.

მეათე საამსეზონო გოლი გაიტანა აზერბაიჯანის ჩემპიონატში გიორგი ადამიამ, მისმა „ნეფთჩიმ" კი გასვლაზე 4:1 მოუგო „გილანს" და ლიდერობა შეინარჩუნა. მეორე ადგილზე ვალერი აბრამიძის ლენქორანის „ხაზარია", რომელმაც შინ „გენჩერბირლი" 3:1 დაამარცხა. „ხაზარი" „ნეფთჩის" ორი ქულით კი ჩამორჩება, თუმც თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრის კოულმენი ყბის ჩამოვარდნის მომენტში







კრისის და ბელინდას ბედნიერება მოჩვენებითი ყოფილა

# საბრალო შავი რეინჯ როვერი გამძვინვარებული ეჭვიანი დიასახლისი ბელინდა კოულმენი

**ეჭვიანი** ცოლიც ამას ჰქვია — ინგლისური „ფულემის“ მწვრთნელმა კრის კოულმენმა თავის მანქანაში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინა. შავ „რეინჯ როვერში“ 2 ათას გირვანქად, ანუ 2,9 ათას ევროდ ღირებული აპარატურა კრისის მეუღლის, ოთხი შვილის დედის ბელინდა კოულმენის დაკვეთით ჩაუმაგრებიათ.

რამ გადარია ბელინდა? გაუთავებელი ჭორების მოსმენამ. საბრალო დიასახლისს მარცხნიდან თუ მარჯვნიდან ქმრის ღალატის ამბავი ესმოდა.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ საიდან მიხვდა მისტერ კოულმენი მოსასმენი აპარატურის ამბავს? 36 წლის სპეციალისტს ამის შესახებ „სანის“ ჟურნალისტმა უთხრა...

„მოსასმენი? რამდენი ხანია, რაც ეს აპარატურა ჩემს მანქანაშია?“ — გადაირია „ფულემის“ ბაზაზე ახალშესული მწვრთნელი, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის თავს, ხოლო როდესაც მზაკვარმა ჟურნალისტმა ცეცხლს ნავთი დაასხა — „რეინჯ როვერში“ აპარატურა შენმა ცოლმა ჩაამონტაჟებინაო — კაცს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყბა ჩამოუვარდა.

„მართლა? გმადლობთ, საქმის კურსში რომ ჩამაყენეთ“ — თქვა კოულმენმა.

ამასობაში კი 42 წლის ბელინდამ აღიარა, რომ მოსასმენი აპარატურა ქმრის მანქანაში სწორედ მან ჩაადგმევინა, ოღონდ პატარა შავგვრემანმა გაკვირვებისგან პირიც დააღო:

„კი მაგრამ, საიდან შეიტყვეთ ეს ამბავი? გთხოვთ, გამიგოთ, რაც მოხდა, ჩემთვის მეტად ძნელი გადასატანია. მეტს ვერაფერს გეტყვით, ქმართან უნდა ვილაპარაკო“.

და ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ, როგორც ამბობენ, ქალმა ქმარი ღალატში აპარატურითაც ვერ გამოიჭირა.

რაც შეეხება სპეციალისტს, რომელმაც „რეინჯ როვერი“ „თანამედროვე ტექნიკის საოცრებით“ აღჭურვა, მხოლოდ ქება და დიდება ერგება. საუბარია ბრედფორდში არსებული ფირმა JMB-ის შეფ, მავან დევიდ ბატზე რომელიც კრის კოულმენის მანქანასთან ისე მივიდა და ოთხსაათიანი სამუშაო ისე იუველირულად შეასრულა, რომ მანქანაში დაბრუნებული „ფულემის“ მწვრთნელი ვერც კი მიხვდა, რომ მის ოთხთვალაში ვიღაც ნამყოფი იყო. თან, საინტერესოა, რომ სპეცმოწყობილობის მეშვეობით, ქალბატონ კოულმენს ზუსტად შეეძლო დაედგინა, სად იმყოფებოდა ამა თუ იმ მომენტში ბატონი კოულმენი.

თუმცა ეს ყველაფერი ტექნიკის და დაოსტატებული დამმონტაჟებლების ამბავია, დრამა კი კოულმენების ოჯახში ტრიალებს. აი, რა გამოიკვლია „სანმა“ წყვილთან დაახლოებული ერთ-ერთი ადამიანისგან, რომელმაც, ბუნებრივია, თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა:

„ბელინდა ეჭვიანობისგან გიჟდებოდა. მას იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, რომ კრისი, შესაძლოა, სხვა ქალით დაინტერესებულიყო. უფრო სწორად, ბელინდა ეჭვობდა, რომ კრისს ორ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა და ამის წინააღმდეგ მის შავ „რეინჯ როვერში“ მოსასმენი აპარატურის ჩამონტაჟება მოიფიქრა. ბელინდამ შეარჩია დღე, როდესაც კრისი სახლიდან მთელი 24 საათით იყო გასული და სპეციალისტი „რეინჯ როვერში“ შეუშვა. აპარატურა მას არა მხოლოდ მანქანაში მსხდომთა, არამედ კრისის სატელეფონო საუბრების მოსმენის საშუალებას აძლევდა, თუმცა ყველაზე მეტად ბელინდა იმით გახლდათ აღფრთოვანებული, რომ ამ აპარატურის მეშვეობით მან ნებისმიერ წამს ზუსტად იცოდა, სად იმყოფებოდა კრისი“.

საინტერესოა, რომ ერთი ხნის მერე, რაც „სანის“ ჟურნალისტმა კრის კოულმენს მანქანის ამბები უთხრა, შავი „რეინჯ როვერი“ „ფულემის“ ბაზიდან გავიდა, ოღონდ მის საჭესთან ვიღაც სხვა იჯდა...

კრის კოულმენი ფეხბურთელობისას 15 წლის განმავლობაში თამაშობდა „ფულემში“, „ბლექბერნში“, „კრისტალ პალასსა“ და „სუონსი სიტიში“, 2002-ში კი სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ფეხბურთს თავი დაანება...

**პაპუნა ძედია**

# თეირანი 2007

## ნეტავ, სად ცხოვრობს ფაბიო კაპელოს დედა?

**მადრიდის** „რეალის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ არ დამალა, რომ ხმებმა, თითქოს ის ირანის ნაკრების გაწვრთნას დაჰყაბულდა, თმები ყალყზე დაუყენა.

შეგახსენებთ: სამშაბათს დაიწერა, თითქოს ამ სეზონის დამთავრების შემდეგ კაპელო ფეხბურთიდან გუდა-ნაბადს საერთოდ აიკრავს, მაგრამ ეს ევროპული პრესის ამბებია, ირანულმა „ირან ვარზეშიმ“ კი იმავე დღეს იტალიელი მაესტრო თავისი ქვეყნის ნაკრებს დაუკავშირა. მერედა, აღმოსავლელთა გაზეთი ისეთ სიღრმეებს შეეხო, როგორიცაა, მაგალითად, სამწლიანი კონტრაქტი, რომელიც კაპელომ ირანის ფეხბურთის ფედერაციასთან, მისი თქმით, საშობაო არდადეგების დროს შეათანხმა.

„მე ირანის ნაკრების ახალი მწვრთნელი არ ვარ! — თქვა აჟიოტაჟის პასუხად მადრიდელთა თავკაცმა — ეს აბსოლუტურად უსაფუძვლო განცხადებაა, მასში სიმართლის მარცვალიც არ არის და წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოდის ის. საშობაო არდადეგების დროს შუაღმოსავლეთში არც ვყოფილვარ და საერთოდ, შობას ყოველთვის დედაჩემთან ვატარებ, ის კი თეირანზე გაცილებით მშვიდობიან ადგილას ცხოვრობს“.

ის, რომ ჭორები დონ ფაბიოს ირანში შესაძლო წასვლის შესახებ უსაფუძვლო და გაუგებარი წარმოშობისაა, „იუვენტუსის“, „რომას“ და „მილანის“ ყოფილი თავკაცის ვაჟმა-აგენტმა პიერ ფილიპომაც დაადასტურა:

„მამაჩემი ირანში არასდროს ყოფილა და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან არანაირ მოლაპარაკებას არ აწარმოებს“.

საინტერესოა, რომ ხსენებულმა ირანულმა გაზეთმა ისიც დაწერა, თითქოს კაპელოს აზიური კონტრაქტი ოფიციალურად იმიტომ არ ფორმდება, რომ ირანის ფეხბურთის ფედერაციასა და ფიფას შორის ჯერჯერობით გაუგებრობაა — მოგეხსენებათ, ფიფამ ნოემბერში ირანული ფეხბურთი საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთა. მიზეზი: ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მთავრობამ თავისი კაცი უხეში ჩარევით გაიყვანა.

**პაპუნა ძედია**



# კაცის მოტყუება შეურაცხყოფაა?!

მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა ბრაზილიელმა ფორვარდმა რობინიომ პრიმერადივიზიონში კვლავ გამოიჩინა თავი — „სელტასთან“ მატჩში შეცვლაზე შევიდა და 82-ე წუთზე გამარჯვების გოლიც შეაგდო. „ბალაიდოსზე“ რთულ ბრძოლაში მოპოვებული ეს 3 ქულა ძალიან მნიშვნელოვანი იყო „სამეფო გუნდისთვის“. რობინიომ კი მორიგი გზავნილი გაუგზავნა ფაბიო კაპელოს — მეტ სათამაშო დროსა და ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვიმსახურებო...



## რობინიო წუთებს გოლებით ითვლის

— ალბათ ბედნიერი ხართ „სელტასთან“ გატანილი გოლით...

— კარგად ვთამაშობ და, ცხადია, გოლიც მახარებს. იმედია, თამაშს კიდევ უფრო გავაუმჯობესებ და გუნდისთვის სასარგებლო საქმეს გავაკეთებ. მინდა, „რეალს“ ყველა მატჩში დავეხმარო სამი ქულის მოპოვებაში.

— როგორ მოგწონთ გუნდი სეზონის ბოლო ნაწილში?

— კარგად ვთამაშობთ, ამისგან სიამოვნებას ვიღებთ და სასურველ შედეგსაც ვაღწევთ. ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო და გუნდს სარგებელი მოვუტანო. არ აქვს მნიშვნელობა, ვარსკვლავს მიწოდებენ თუ არა, მთავარია, ის გავაკეთო, რასაც მწვრთნელი დამავალებს.

— მეტოქეთა კრიტიკაზე რას იტყვით? ისინი ამბობენ, რომ ზედმეტი ჟონგლიორობითა და ფინტებით მათ დამცირებასა და შეურაცხმყოფელად მოტყუებას ცდილობთ...

— უპატივცემულოდ არავის ვეპყრობი. უბრალოდ, ასე ვთამაშობ — სიამოვნებით და შემართებით. ასე ვარ ვარჯიშების დროსაც და არა მგონია, ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებდე.

— გუნდს უკვე ბოლომდე მოერგეთ?

— ბევრს ვმუშაობ და აქაურობას დღითიდღე უკეთ ვეჩვევი. თავს კარგად ვგრძნობ და მინდა, „რეალთან“ ერთად წარმატებებს მივაღწიო. ფეხბურთელი, შესაძლოა, ზოგჯერ ცუდად იყოს და არასასიამოვნო პერიოდი ჰქონდეს, მაგრამ ყველაფერი აუცილებლად შეიცვლება. ვხედავ, ახლა კაპელო მენდობა და ისღა დამრჩენია, გუნდს დავეხმარო.

— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოთ, რომ მწვრთნელმა მეტი სათამაშო დრო მოგცეთ?

— როცა მინდორზე გავალ, უნდა დავამტკიცო, რომ მეტ სათამაშო დროს ვიმსახურებ. როცა მწვრთნელი თავის გამოჩენის შანსს მომცემს, ბოლომდე უნდა დავიხარჯო.

— „ბარსელონასა“ და „რეალს“ შორის დიდი განსხვავებაა?

— ჩემი აზრით, არა. ორივე „ელ კლასიკო“ ძალიან დაძაბული გამოდგა და კინაღამ ორივე მოვიგეთ. „ბარსელონა“ კარგ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ახლა მთავარი ქულების მოპოვებაა. ვფიქრობ, პრიმერადივიზიონის მოგების შანსი ისევ გვაქვს.

— ის არ გაღელვებთ, რომ კატალონიელები ქულებს არ კარგავენ?

— ჩვენ ჩვენი მატჩები უნდა მოვიგოთ. ეს ერთადერთია, რაც შეგვიძლია. მთავარია, დარჩენილ ათ შეხვედრაში ვიმარჯვოთ და კონკურენტების წაბორძიკებას დაველოდოთ.

— თითქოს „ბარსელონას“ უფრო იოლი კალენდარი დარჩა...

— არა მგონია, კალენდარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან სეზონის მიწურულს, ფაქტობრივად, ყველა მატჩი თითქმის ყველა გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, იოლი შეხვედრები არ იქნება. ვითარება ძალიან დაძაბულია და ჯერ ვერავინ იტყვის, რა მოხდება.

— ტრავმები და დისკვალიფიკაციები რამდენად სერიოზულ როლს ითამაშებენ „ოსასუნასთან“ მომავალ მატჩში?

— გაგო და გუტი დისკვალიფიცირებულნი არიან — ჩვენთვის ორივე დიდი ძალაა, მაგრამ უმათოდაც უნდა შევძლოთ მოგება. თუ ყველანაირი სირთულე არ გადალახე, ჩემპიონი ვერ გახდები.

— „რეალს“ შინ მოგება უჭირს...

— „სანტიაგო ბერნაბეუ“ ჩვენი სახლია, სადაც კარგად უნდა ვითამაშოთ. თუ ქომაგები მხურვალედ მხარდაჭერას გააგრძელებენ, იმედი გვაქვს, რომ შინ დარჩენილ ყველა მატჩს მოვიგებთ.

— გაგოს და გუტის არყოფნა ემერსონს აძლევს შანსს. მასზე რა აზრის ხართ?

— ემერსონი კარგად ვარჯიშობს და, საერთოდაც, ბრწყინვალე ფეხბურთელია. მან „სელტასთან“ მეორე ტაიმში მშვენივრად ითამაშა და ვფიქრობ, „ოსასუნასთანაც“ იგივეს გააკეთებს. გასაგებია, რომ როცა ფეხბურთელს რაღაც ისე ვერ მისდის, ფანები პროტესტს გამოხატავენ, მაგრამ მჯერა, თუ მწვრთნელი მას მინდორზე გაიყვანს, ჩინებულად გაირჯება. ქომაგების სტვენამ და დამოკიდებულებამ ის კი გაანაწყენა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველანაირად ეცდება, ბოლომდე დაიხარჯოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ გოლების გატანა რუუდ ვან ნისტელროის ზედმეტად მოეთხოვება და იგი დიდ ზეწოლას განიცდის?

— რუუდი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მისი თამაში ბევრს წყვეტს, თუმცა თავდასხმაში სხვა კარგი ფეხბურთელებიც გვყავს. მაგალითად, რაულმაც გაიტანა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი და ზოგჯერ მეც მიმართლებს... ისე კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვის გააქვს, მთავარია, გუნდმა კარგად ითამაშოს და მოიგოს.

# ეტოოს შავი პრობლემა



**კატალონიური** „ბარსელონას“ კამერუნელი თავდამსხმელი სამუელ ეტოო ამ ბოლოხანს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე საუბრით გაერთო.

ცოტა ხნის წინ ეტოომ აფრიკელთა ევროინტეგრაციაზე ილაპარაკა, ახლა კი რასიზმზე ჩამოაგდო სიტყვა. მან აღიარა, რომ თავის შვილებს მის თამაშებზე სიარულს უკრძალავს...

„ტრიბუნებზე მათ ისეთი რამეების მოსმენა მოუწევთ, რისი ახსნაც ძნელია. სჯობს, ეს ბავშვებმა საერთოდ არ ნახონ. ვფიქრობ, ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა რასიზმის წინააღმდეგ“ — უთხრა კამერუნელმა ფორვარდმა ჟურნალისტებს.

ამ სეზონში ეტოო არაერთხელ შეეჩეხა ამ პრობლემას, „სარაგოსასთან“ მატჩისას კი მოედნიდან გასვლაც დააპირა, რადგან სარაგოსელ ქომაგთა შეურაცხმყოფელ შეძახილებს ველარ გაუძლო.

მაშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „სარაგოსას“ სოლიდური ჯარიმა დააკისრა...

**კახა შალამბერიძე**

## უეფას თასი 2006-07
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

დღეს

ლევერკუზენი (გერმანია) — ოსასუნა (ესპანეთი)
ალკმაარი (ჰოლანდია) — ვერდერი (გერმანია)
ესპანიოლი (ესპანეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)
სევილია (ესპანეთი) — ტოტენჰემი (ინგლისი)

# ვან გაალი ნიუკასლს გაიმეორებს

**ჰოლანდიური** „ალკმაარის“ მწვრთნელი ლუის ვან გაალი იმავე შემადგენლობას დაახვედრებს „ვერდერს“, რომელმაც „ნიუკასლს“ 2:0 მოუგო. ბრემენელებს პრობლემები აქვთ შეტევაში, რადგან მიროსლავ კლოზეს იანვრის მერე გოლი არ გაუტანია და ცუდ ფორმაშია. სამაგიეროდ, თომას შააფისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ ნახევარმცველი ტიმ ბოროვსკი გამოკეთდა და დღეს ითამაშებს...

„სევილია“ სამ ფრონტზე იბრძვის — ესპანეთში ჩემპიონობისთვის და თასისთვის, ევროპაში კი უეფას თასისთვის, რომელიც შარშან მოიგო და ზედიზედ მეორედ მიიწევს ამ ჯილდოსკენ. „სევილიამ“ გასულ უქმეებზე სტუმრად „ოსასუნასთან“ უგოლოდ ითამაშა. მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა კი სატოტენჰემოდ მეკარე ანდრეს პალოპი, მცველი დანი ალვეში და ფორვარდი ფრედერიკ კანუტი დაასვენა.

ანდალუზიელთა სტუმარმა „ტოტენჰემმა“ კი ამ შეჯიბრში რვავე მატჩი მოიგო და თუ „სანჩეს პისხუანზეც“ იმარჯვებს, „მიონხენგლადბახის“ და „პარმას“ რეკორდს გაიმეორებს.

„სევილიაში მოგება იოლი არაა, თუმც ჩვენც კარგები ვართ „უაით ჰართ ლეინზე“ — თქვა რობი კინმა.

„ესპანიოლის“ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდესთვის კი მთავარია, „მონჟუიკზე“ „ბენფიკასგან“ გოლი არ გაუშვას. მას უნახავს კვირის მატჩი „ბენფიკა“ — „პორტუ“ და დაასკვნა, რომ ლისაბონში საპასუხო მატჩისას 63 ათასი ქომაგის ღრიალში მის გუნდს გაუჭირდება.

„1:0-ზე თანახმა ვარ, ლისაბონში კი ჩემი გამოცდილი ფეხბურთელების მეიმედება, რომლებიც იქაურ ატმოსფეროს გაუძლებენ“.

„ბენფიკას“ თავკაც ფერნანდო სანტუშს 2001 წელს „პორტუს“ მწვრთნელობისას „ესპანიოლი“ უეფას თასზე დაუმარცხებია და ახლაც იგივეს აპირებს.

თვენახევრიანი მკურნალობის შემდეგ „არწივებს“ დაუბრუნდათ 35 წლის მანუელ რუი კოშტა. მან „პორტუსთან“ ითამაშა, დღეს კი დისკვალიფიცირებულ კოსტას კაცურანისს შეცვლის.

„ლევერკუზენი“ გაზაფხულს კარგ ფორმაში შეხვდა. განსაკუთრებით გამოირჩევიან 22 წლის მეკარე რენე ადლერი, 35 წლის მეორე სუნთქვაგახსნილი ბერნდ შნაიდერი და ფორვარდი სერგი ბარბარესი, რომელმაც „მაინცთან“ მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

გერმანიაში ჩასულ „ოსასუნას“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება: ნეკუნამი, პუნიალი, დელპორტე და ხოსეჩო. ფორვარდი სავო მილოშევიჩი ტრავმის შემდეგ დაბრუნდა და „სევილიასთან“ მატჩში შეცვლაზე ითამაშა.

ნავარიული კლუბი პირველადაა ევროთასის მეოთხედფინალში, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს: „ისტორიაში შესვლის შანსი გვაქვს — თქვა მილოშევიჩმა — ეს უმნიშვნელოვანესი მატჩია და ტრავმიანობის გამო არ უნდა ვიწუწუნოთ. უფრო რთული ვითარებიდანაც გამოვსულვართ“.

ოსასუნელთა მწვრთნელმა ხოსე ანხელ რიგანდამ კი განაცხადა: „მთავარია, ლევერკუზენიდან უშანსოდ არ დავბრუნდეთ, შინ კი ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## კანონი იკანონებს

**იტალიის** სენატმა ახალი კანონი მიიღო, რომელიც საფეხბურთო მატჩებზე ხულიგნობას ალკვეთს. ეს კანონი კატანიაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ შეიმუშავეს. მაშინ „კატანია“ — „პალერმოს“ მატჩისას მომხდარი არეულობისას პოლიციელი მოკლეს და ჩემპიონატი დროებით შეწყდა.

## ფრინგსი ფიქრობს

**ბრემენის** „ვერდერის“ ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგსმა განაცხადა, რომ ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლაზე ფიქრობს.

— „იუვეს“ ძალიან სურს ჩემი შეძენა. გამთამაშებლად ვუნდივარ და ამ ვარიანტზე სერიოზულად ვფიქრობ“ — თქვა 30 წლის გერმანელმა, რომელსაც ნაკრებში 66-ჯერ უთამაშია.

## კატანიამ ქომაგები მოიგო

**„კატანიამ“** სამოქალაქო სასამართლოში პროცესი მოიგო და შედეგად სეზონის ბოლომდე ნეიტრალურ სტადიონზე ფანების შეშვების უფლება მოიპოვა. „პალერმოსთან“ შეხვედრის შემდეგ პოლიციელის მკვლელობის გამო კატანიელებს საშინაო მატჩების ნეიტრალურ ალაგზე და უმაყურებლოდ გამართვა მიუსაჯეს, მაგრამ გაასაჩივრეს და გაცხადდა, რომ 7 აპრილიდან ქომაგებს დასწრება შეეძლებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები


AFP

**მილანი (იტალია) 2:2 ბაიერნი (გერმანია)**
1:0 პირლო (40), 1:1 ვან ბუიტენი (78), 2:1 კაკა (84პ), 2:2 ვან ბუიტენი (90)
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (კალაძე 86), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (გურკუფი 85), კაკა, ჯილარდინო (ინძაგი 71)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი (ლელი 67), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ოტლი, შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 85), პოდოლსკი (კ. პიზარო 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჯილარდინო, სალიჰამიჯიჩი, ვან ბუიტენი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
77 700 მაყურებელი

# მილან-ბაიერნი შეიკვრნენ: ვაგინოთ რუსს!

**ფორმაში** არც „მილანია" და არც „ბაიერნი", თუმცა, როცა საქმე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს ეხება, ამას მნიშვნელობა არ აქვს. „სან სიროზე" მაღალი კლასის, დაძაბული და უხვგოლიანი თამაში ვიხილეთ. თუმცა შეხვედრა უფრო საინტერესო იქნებოდა, რუს მსაჯ იური ბასკაკოვს უხეში შეცდომები რომ არ დაეშვა.

ბასკაკოვს გერმანელები ჯერ კიდევ მატჩამდე ლანძღავდნენ, მატჩის მერე კი რუსს „ტკბილი სიტყვები" არც იტალიელებმა დააკლეს.

მატჩის დეტალური აღწერით თავს არ შეგაწყენთ. ალბათ ყველამ იცით, რა როგორ მოხდა. მოკლედ ვთქვათ, რომ „მილანი" უპირატესობას ფლობდა და ლოგიკურად, სულ მცირე, ერთბურთიანი სხვაობით მაინც უნდა მოეგო, თუმცა ფეხბურთი და ლოგიკა ხშირად ვერ მეგობრობენ და ეს ერთხელაც დამტკიცდა. „ბაიერნს" ორი რეალური შანსი ჰქონდა და ორივე გამოიყენა, რაც საპასუხო მატჩის წინ საკმაო უპირატესობას აძლევს. მით უმეტეს, რომ მიუნხენელებს დისკვალიფიკაციამოხდილი ოლივერ კანი და მარკ ვან ბომელი დაუბრუნდებიან.

„კარგი მატჩი ჩავატარეთ, მაგრამ... „ბაიერნს" ორივე ეპიზოდში გაუმართლა, როცა გოლი გაგვიტანა. მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ შანსი მიუნხენშიც გვექნება. სწრაფად, აგრესიულად და გამართულად უნდა გავისარჯოთ საპასუხო შეხვედრაში. მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. ალბერტო ჯილარდინოს გოლი ტყუილად არ ჩაუთვალეს, აქეთ ყვითელი ბარათი უჩვენეს და საპასუხო მატჩი უნდა გამოტოვოს. იმედია, უეფა ამ ბარათს გააუქმებს. მეორე გაშვებული გოლისას კი როკე სანტა კრუზმა ალესანდრო ნესტასთან ორთაბრძოლაში წესები დაარღვია და დანიელ ვან ბუიტენს ბურთი მერელა მოუვიდა" — აღნიშნა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერის" თავკაცმა გუნდი 4-3-2-1 სქემით ათამაშა. როგორც ამბობენ, ეს არ მოეწონა კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის.

„ბერლუსკონი უკმაყოფილო იყო შედეგითაც და თამაშითაც" — დასძინა „კარლიტომ".

„ბაიერნის" გამოღვიძების მთავარი მიზეზი ოტმარ ჰიცფელდია — გამოცდილი ტაქტიკოსი ამ „ბაიერნისგან" მაქსიმუმს წურავს.

„ვან ბუიტენს ბოლო დროს ბევრს ველაპარაკებოდი და მან აშკარად მოუმატა. მიხარია, რომ ორი გოლი გაიტანა და მატჩის გმირად იქცა. „მილანი" თავიდან გვჯობდა, მაგრამ მეორე ტაიმში დაიღალა და ჩვენც ზეწოლა გავაძლიერეთ. დაცვიდან ძალიან ფრთხილი თამაში იმიტომ იყო აუცილებელი, რომ კაკასთვის სივრცე არ მიგვეცა. 2:2 ჩვენთვის კარგი და სავსებით დამსახურებული შედეგია, რადგან თავი მშვენივრად დავიცავით და შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტი გამოვავლინეთ. მიუნხენში დაცვაში არ ჩავიკეტებით, შევუტევთ. თუმცა მძიმე მატჩი გველის. ვფიქრობ, ეს „მილანი" „რეალზე" ძლიერია" — განაცხადა ჰიცფელდმა.

ცუდი ამბავი „ბაიერნისთვის" ის არის, რომ დაშავდა ვილი სანიოლი — 30 წლის ფრანგი მცველი 67-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ამბობენ, იგი ამ სეზონში ველარ ითამაშებსო.

„როგორც ექიმმა მითხრა, მენისკის პრობლემა მაქვს და, შესაძლოა, ოპერაციაც დამჭირდეს. დიდი შანსია, 6-8 კვირა გამიცდეს. რაც შეეხება მატჩს, ფრე სამართლიანი შედეგი იყო და იმედია, მომდევნო ეტაპზე გავალთ. პენალტი კი მოგონილი იყო, მაგრამ ამ მსაჯისგან ასეთებს ველოდით" — თქვა სანიოლმა.

**კოკი კანდელაკი**

# კუმანი უცხოპლანეტელი არაა

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:3 ლივერპული (ინგლისი)**
0:1 ჯერარდი (27), 0:2 რიისე (49), 0:3 კრაუჩი (63)
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, კრომკამპი (ფეჰერი 68), და კოშტა, სიმონსი, სალსიდო, მენდესი (კლუივერტი 51), ვაირინენი, კოკუ, კულინა, ფარფანი (სუნი 46), ტარდელი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე (ზენდენი 65), ჯერარდი, მასკერანო, ხ. ალონსო, ფ. აურელიო (მ. გონსალესი 75), კრაუჩი (ბენაიუნ 85), კაიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მასკერანო, კლუივერტი, კაიტი, ფეჰერი
მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
36 500 მაყურებელი

## სტივენ ჯერარდმა იან რაშს გაასწრო






სტივენ ჯერარდმა იან რაშს ლამის მოუბოდიშა, ჩემს კვრას რომ გავასწარი, მრცხვენიაო

AFP

**„ლივერპულმა"** ასკინკილით მოუგო პსვ-ს, რომელსაც დაცვაში აკლდა ლონიერი ალექსი — ტრავმირებული ბრაზილიელი სრულფასოვნად ვერ შეცვალა და კოშტამ.

ამით ისარგებლეს სტუმრებმა და ორი გოლი სტივენ ჯერარდისა და პიტერ კრაუჩის თავური დარტყმებით გაიტანეს, მესამე კი იონ არნე რიისეს ცნობილმა ცაციამ შეაგდო.

„ლივერპულის" მეკარე ხოსეპ რეინას მთელი მატჩი ენატრებოდა ბურთის ხელში დაჭერა, რადგან პსვ-მ კარში სულ ორ-სამჯერ დაარტყა. რეინას, ფაქტობრივად, 90-წუთიანი შვებულება გამოუვიდა ეინდჰოვენში.

რონალდ კუმანს ზღაპრების არ სჯერა და ნამატჩევს თქვა, უცხოპლანეტელი უნდა ვიყო, „ენფილდზე" 4:0 მოგების რომ მჯეროდესო.

რაფაელ ბენიტესმა კი განაცხადა: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს სტამბოლი და „მილანთან" მატჩი, რომელსაც 0:3-ს ვაგებდით და გავათანაბრეთ. შეუძლებელი არაფერია და ამიტომ საპასუხო შეხვედრაში მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. ძალიან კარგად, ორგანიზებულად და ეფექტურად ვითამაშეთ. მოგება სასიხარულოა, მაგრამ ფაბიო აურელიოს ტრავმამ ცოტა ჩაგვიმწარა".

ჯეიმი კარაგერისთვის ეს იყო 58-ე მატჩი ჩემპიონთა ლიგაში, რაც „ლივერპულის" რეკორდია, სტივ ჯერარდმა კი მე-15 გოლი შეაგდო ამ ტურნირში და იან რაშს გაუსწრო.

რაფაელ ბენიტესი: „მოდუნების უფლება არ გვაქვს. საპასუხო შეხვედრაში პირველ ტაიმს თუ არ წავაგებთ, მერე უკვე შევძლებთ ნახევარფინალზე ფიქრს. სულ სხვა გრძნობა მაქვს იმ სეზონისგან განსხვავებით, როდესაც ჩემპიონთა თასი მოვიგეთ. ეს გუნდი ორი წლის წინანდელზე უკეთესია".

| 17531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18530 | ალკმაარი-ვერდერი | 2.50 | 1.45 |
| 18531 | ესპანიოლი-ბენფიკა | 2.00 | 1.65 |
| 18532 | ლევერკუზენი-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 18533 | სევილია-ტოტენჰემი | 1.70 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



კარმელო ენტონი და კობი ბრაიანტი

## დენვერმა კობის, ვერ[illegible]
## ბრაიანტმა ჯორდანს 19 000 ჩამოართვა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ისე მიეჩვია კობი ბრაიანტისგან ქულათა ზვავს, რომ უმისოდ თამაში ვეღარ მოუგია. კობიმ კი რაც უნდა სდიოს აწ განსვენებულ უილტ ჩემბერლენს, მას მაინც ვერ დაეწევა, ყველა თამაშში 50 ქულას ვერ გამანსავს და მისმა გუნდმაც გამარჯვებების სხვა საშუალებები უნდა ეძებოს.

კობის „დენვერთან" ცუდად არ უთამაშია, პირიქით, 39 ქულა ჩააგდო და ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე შეიქნა, რომელმაც კარიერაში 19000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და ეს რეკორდი მაიკლ ჯორდანს წაართვა.

თანაც ბრაიანტმა ამ 39 ქულის გაკეთებით ლიგის კიდევ ერთ გამორჩეულ ბომბარდირ კარმელო ენტონისთან დუელში გამარჯვებით ამ ერთხელაც აჩვენა ხალხს, თუ ვინაა ამ ლიგაში ყველაზე ჩაუქი მექულე. მაგრამ „ლეიკერსს" ვერც მისმა ქულებმა უშველა და ვერც მეორე ლიდერ ლამარ ოდომის სამმაგმა დუბლმა, რომელიც პირველია ლოსანჯელესური გუნდისთვის მთლიანად ამ სეზონში.

ძველი მტრების და ცხრილში მეზობლების შეტაკებაში „დენვერი" უკეთეს გუნდად გამოჩნდა, ენტონის 31-ს ალენ აივერსონმა ორი ათეული ქულა და ათეული პასი მიამატა, წონოლა მარკუს კემბიმ კი 21 ქულა, 20 მოხსნა და 6 დაფარება გააზერხა კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო თამაშში. „დენვერმა" თანაბარი სამი მეოთხედის შემდეგ, დასკვნით პერიოდში გატეხა მეტოქე და გამარჯვება თავის მწვრთნელ ჯორჯ კარლს მიუძღვნა. კარლი გუნდთან ერთად არ გახლდათ, მის შვილს ოპერაციას უკეთებდნენ და გუნდი ამ თამაშზე მისმა ასისტენტმა ადრიან დენტლიმ გაიყვანა.

80-იანი წლების ვარსკვლავი დენტლი უკმაყოფილებანარევი კმაყოფილებით საუბრობდა გამარჯვების შემდეგ — ჩემი ოპონენტი ფილ ჯეკსონი დიდების დარბაზში აირჩიეს, მე კი არა და ნამეტანი მესიამოვნა, მისი დამარცხება რომ შევძელიო — „იმედი მქონდა, რომ დიდების დარბაზში ამირჩევდნენ როგორც მოთამაშეს. ცხადია, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ როდესაც სპორტის ისტორიაში უძლიერეს მწვრთნელს ამარცხებ, არ შეიძლება, ცუდზე იფიქრო. დღეს მეც დიდების დარბაზის წევრივით ვგრძნობ თავს."

საინტერესო მატჩს უმასპინძლა „საკრამენტო კინგზმა". „მეფეებს" სეზონის ჭეშმარიტი მეფის, „დალას მავერიკსის" დამხობის იმედი ულევოდათ, აქაოდა, მეტოქე გუნდს დირკ ნოვიცკი აკლია და იქნებ რამეს გამოვრჩეთო, მაგრამ ვერ მიერთვათ. „დალასმა" დაამტკიცა, რომ ნოვიცკის გარეშეც მძლავრი გუნდია და დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ მაინც საკუთარი ძლიერების სრული შეგრძნებით აჯობა „საკრამენტოს", რომელიც 5 წლის წინანდელი „საკრამენტოს" მკრთალი აჩრდილიღაა. მასპინძლები ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 70:69 კი იგებდნენ, მაგრამ უკანასკნელი 12-წუთეული დალასელი ჯერი სტეკჰაუსის სამქულიანი შეტევით და ამას მოყოლებული კიდევ 5 დალასური ქულით დაიწყო, რის შემდეგაც სტუმრებს უპირატესობა აღარ დაუთმიათ.

ბოლო ორ წუთში 3-ქულიან სხვაობაზე აყლაყუდა დალასელებმა — დესაგანა დიოპმა და ერიკ დამპიემ ორჯერ დაუფარეს „საკრამენტოს" ლიდერ რონ არტესტს და ამით თავისი ადგილიც მიუჩინეს მასაც და მის გუნდსაც.

„დალასის" კვალად, ამ სამშაბათს თითო მოგება შეიმატა ყველა ფავორიტმა, დასავლელებმაც და აღმოსავლელებმაც. უკეთესი საპლეიოფო პოზიციებისთვის ბრძოლაში ჩემპიონმა „მაიამიმ" კონკურენტი „ტორონტო" მოდრიკა, თანაც „ვაშინგტონის" დამარცხებითაც ისარგებლა და აღმოსავლეთში მეექვსე ადგილიდან მეოთხეზე აღზევდა.

**კოტე ყორშია**

— 3 აპრილი —

**ლეიკერსი 105:111 დენვერი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (39), ოდომი (17 ქულა, 14 მოხსნა, 12 პასი), უოლტონი (14)
დენვერი: ენტონი (31), კემბი (21 ქულა, 20 მოხსნა, 6 დაფარება), აივერსონი (20 ქულა, 10 პასი)

**საკრამენტო 93:97 დალასი**
საკრამენტო: არტესტი (25 ქულა, 10 მოხსნა), მარტინი (17), ბიბი (16)
დალასი: ჰოვარდი (29), ტერი (27), სტეკჰაუსი (23)

**მემფისი 111:116 ფინიქსი**
მემფისი: გასოლი (23 ქულა, 11 მოხსნა), უორიკი (22 ქულა, 16 მოხსნა), ეტკინსი (19)
ფინიქსი: სტუდემაიერი (27), ბარბოსა (24), მერიონი (17 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (15 ქულა, 17 პასი)

**მაიამი 92:89 ტორონტო**
მაიამი: ონილი (16 ქულა, 12 მოხსნა), პასლემი (16), ჯონსი (14), უილიამსი (14)
ტორონტო: ბოში (24 ქულა, 11 მოხსნა)

**ინდიანა 85:100 დეტროიტი**
ინდიანა: ონილი (20), დანლივი (15), გრეინჯერი (14)
დეტროიტი: პრინსი (24), ჰამილტონი (19)

**შარლოტი 122:102 ვაშინგტონი**
შარლოტი: ვოლესი (34 ქულა, 14 მოხსნა), ერმანი (21), ოკაფორი (17 ქულა, 13 მოხსნა), ფელტონი (17 ქულა, 14 პასი)
ვაშინგტონი: არენასი (33), ტომასი (17 ქულა, 14 მოხსნა), სტივენსონი (17)

**მილუოკი 101:119 ნიუ ორლეანი**
მილუოკი: რედი (27), გრირი (19)
ნიუ ორლეანი: ვესტი (24), მეისონი (21), ჩანდლერი (18 ქულა, 20 მოხსნა)

**მინესოტა 88:101 კლივლენდი**
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 12 მოხსნა), ფოი (18)
კლივლენდი: ჯეიმსი (31 ქულა, 12 მოხსნა), გუდენი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**სან ანტონიო 110:91 სიეტლი**
სან ანტონიო: ბოუენი (18), პარკერი (16), დანკანი (14)
სიეტლი: უორიკი (20), ლეისი (19)

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | დასავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | 48 | 26 | 64,9 | *დალასი* | 62 | 12 | 83,8 |
| კლივლენდი | 45 | 30 | 60,0 | *ფინიქსი* | 56 | 18 | 75,7 |
| *ტორონტო* | 41 | 33 | 55,4 | სან ანტონიო | 53 | 21 | 71,6 |
| *მაიამი* | 40 | 34 | 54,1 | *იუტა* | 48 | 25 | 65,8 |
| ჩიკაგო | 44 | 31 | 58,7 | ჰიუსტონი | 47 | 27 | 63,5 |
| ვაშინგტონი | 39 | 34 | 53,4 | ლეიკერსი | 39 | 35 | 52,7 |
| ნიუ ჯერსი | 34 | 39 | 46,6 | დენვერი | 37 | 36 | 50,7 |
| ორლანდო | 34 | 40 | 45,9 | კლიპერსი | 36 | 37 | 49,3 |
| ინდიანა | 32 | 42 | 43,2 | გოლდენ სტეიტი | 35 | 39 | 47,3 |
| ნიუ იორკი | 31 | 42 | 42,5 | ნიუ ორლეანი | 34 | 40 | 45,9 |
| ფილადელფია | 29 | 44 | 39,7 | მინესოტა | 31 | 43 | 41,9 |
| შარლოტი | 29 | 46 | 38,7 | საკრამენტო | 30 | 43 | 41,1 |
| ატლანტა | 27 | 47 | 36,5 | სიეტლი | 30 | 44 | 40,5 |
| მილუოკი | 25 | 48 | 34,2 | პორტლენდი | 29 | 44 | 39,7 |
| ბოსტონი | 23 | 50 | 31,5 | მემფისი | 19 | 57 | 25,0 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნული არიან დივიზიონების ლიდერები*

# ევროლიგა

**მეოთხედფინალი. ორ მოგებამდე. პირველი მატჩები. 3 აპრილი**

**ტაუ 84:60 ოლიმპიაკოსი**
ტაუ: რაკოჩევიჩი (24), ერდოგანი (13)
ოლიმპიაკოსი: დომერკანტი (13), პოსკინი (11)

**უნიკახა 91:75 ბარსელონა**
უნიკახა: ფეისონი (17), დე მიგელი (13), როდრიგესი (12)
ბარსელონა: ნავარო (15), მარკონატო (11)

**ცსკა 80:58 მაკაბი**
ცსკა: ლანგდონი (16), ანდერსენი (14), ჰოლდენი (12), ვან დერ შიგელი (11)
მაკაბი: ვუიჩიჩი (10)

**პანათანაიკოსი 80:58 დინამო**
პანათანაიკოსი: ბეჩიროვი (17), შიშკაუსკასი (16), ბატისტი (10)
დინამო: ეკეზი (15), დიxი (14)

## დიდი გასეირნება ბებერ კონტინენტზე

სამშაბათს ევროპის ოთხ ქალაქში ევროლიგის მეოთხედფინალური სერიები დაიწყო. პირველმა შეხვედრებმა ყოველგვარი სენსაციების გარეშე ჩაიარა. ოთხივე ფავორიტმა იოლად მოიგო და ოთხივე თამაშში სულ ცოტა 16-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. დამარცხებულთა მხრიდან ეს ერთგვარი გულგრილობა ერთი გარემოებით აიხსნება: სერიაში საბოლოო გამარჯვებას ორი თამაშის მომგები გუნდი აღწევს. წაგება წაგებაა და მნიშვნელობა არ აქვს, რამხელა სხვაობით დამარცხდები. ამ ლოგიკით, ფავორიტებმა მეტოქეები რომ მოდრიკეს, ამათაც თავი არ გამოუდევიათ, მცირე სხვაობით რომ წაეგოთ. ცემა აიტანეს და ძალები მომდევნო თამაშებისთვის შემოინახეს, რომლებიც დღეს, ხუთშაბათს გაიმართება.

შედარებით დაძაბული გამოდგა ორი ესპანური გუნდის — „ბარსელონას" და „უნიკახას" შეხვედრა. წლეულს „ბარსას" გრანდად აღარავინ თვლის, ეს ტრადიციულად მძლავრი გუნდი ამჟამად „უნიკახასაც" ჩამოუვარდება, მაგრამ მალაგელებს ოფლი მაინც ბლომად აღვრევინა. „უნიკახამ" არცთუ დამაჯერებლად დაიწყო და პირველი მეოთხედის 17:24 დათმობის შემდეგ მეორეში 11 ქულითაც ჩამორჩა თავისუფლად, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე მოთამაშე ბარსელონელებს, მაგრამ დროზე მოეგო გონს და საფრთხე აირიდა. მასპინძლებმა რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს, რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 19:4 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 46:40. მესამე მეოთხედში კი „უნიკახამ" ამ უპირატესობას კიდევ 7 ქულა წაუმატა და მერელა დამშვიდდა.

კიდევ ერთმა ესპანურმა გრანდმა, ვიტორიას „ტაუ-კერამიკამ" გაცილებით ადრეულად მოაშთო მეტოქე, ბერძნული „ოლიმპიაკოსი". „ტაუს" სერბმა გამთამაშებელმა იგორ რაკოჩევიჩმა პირველ 10-წუთეულში 14 ქულა ჩააგდო, რაც მთლიანად ბერძენთა მონაგარზე ორით მეტი გამოდგა, მისმა გუნდმა კი საწყისი პერიოდის 20:12 მოგების შემდეგ მშვიდად და მეთოდურად გააგრძელა მეტოქის შევიწროება და საბოლოოდ 24 ქულითაც შემუსრა. რაკოჩევიჩს კი 17 წუთში 24 ქულა მოუგროვდა.



კიდევ უფრო შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ ცსკა-ს ყოფილ ჩემპიონ „მაკაბისთან". რუსებმა (ლანგდონს, ჰოლდენს, ანდერსენს, ვან დერ შარგელს, პაპალუკასს და ტორესს სიმბოლურად თუ ვუწოდებთ „რუსებს") ებრაელები სადებიუტო 10-წუთეულში 21:6 დაჩაგრეს და უიოლესი გამარჯვება მოიპოვეს — საბოლოოდ 80:58 ცსკა-ს სასარგებლოდ.

ზუსტად ასეთი ანგარიშით დასრულდა მეორე რუსული გუნდის მონაწილეობით გამართული კიდევ ერთი შეხვედრა, იმ განსხვავებით, რომ აქ 58:80 რუსებმა წააგეს. მიმდინარე პლეი ოფის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ათენის „პანათანაიკოსმა" მოსკოვის „დინამოსთან" შეხვედრა 12 ქულით მოგებული საწყისი მეოთხედით დაიწყო და მეტოქეს მეოთხე მეოთხედამდე არ მისცა ხელის შებრუნების ნება.

**კოტე ყორშია**

ხელბურთი

# წასაგებად განწირულნი

## ერთი ვარჯიშით მსოფლიოს ჩემპიონატზე



**წუხელ** ვენის გავლით დანიაში გაფრინდა საქართველოს 21-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები, რომელიც კოპენჰაგენში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

მასპინძელთა გარდა, ჩვენს ბიჭებს უკრაინელ და ლიტველ თანატოლებთან მოუწევთ თამაში. ფინალურ ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გავა.

არადა, ტრადიციული უფულობის გამო გამგზავრება ლამის ბოლო მომენტამდე სათუო იყო. საჭირო თანხის შოვნა ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობამ მხოლოდ ორიოდე დღის წინ მოახერხა და მწვრთნელ-მოთამაშეებმაც მაშინღა შეიტყვეს წასვლის შესახებ. ასე რომ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოასწრო და ასე „მომზადებული“ გუნდით წავიდა დანიაში. ამ შემთხვევაში სწორედ რომ ძველი ოლიმპიური დევიზით ვხელმძღვანელობთ — „მთავარია მონაწილეობა“, რადგან ნაკრები შეჯიბრებაში რომ ვერ გამოსულიყო, ქართულ ხელბურთს საერთაშორისო ასპარეზიდან ორწლიანი მოკვეთა და მკაცრი ფინანსური სანქცია არ ასცდებოდა. ფულადი მხარე 15-დან 30 ათას ევრომდე ჯარიმას ითვალისწინებს. მაგრამ რაკი საქართველოს ორჯერ (1996 და 2003 წლებში) უკვე ჰქონდა ამგვარი ინციდენტი, ამჯერად ევროფედერაცია ალბათ მაქსიმალური ევროებით დაგვსჯიდა.

დანიაში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: *გაგა სამყურაშვილი, ილია გოგალაძე, რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი, დავით საჯაია, ირაკლი ჩიქოვანი (ყველა „სტუ-შევარდენი“), ივანე ქარდავა, უჩა მაისურაძე, აკაკი ყაველაშვილი („იმედი“), გიგა ტორონჯაძე, ზურიკო მელქოშვილი („ქარიშხალა“) და ირაკლი ქორია („ზკ თბილისი“).*

**გია ახალაძე**

ფიგურული ციგურაობა

# შენ დაბრუნდი, ფული იქნება

## რუსებმა თვალი წარსულს მიაპყრეს

**ამ ორიოდე** კვირის წინ ტოკიოში ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. იაპონიის დედაქალაქში არნახული სირცხვილი ჭამეს რუსებმა — ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე დომინირებდნენ სპორტის ამ სახეობაში, ოქროს ვინ ჩივის, საერთოდ უმედლოდ დარჩნენ. არადა, ჯერ კიდევ შარშან, ტურინის ოლიმპიადაზე რუსებმა ოთხი სახეობიდან სამი მოიგეს და რატომ ოთხივე ოქრო ვერ აიღეთო, ამაზე წუხდნენ.

იაპონური მარცხი რუსეთში მწვავედ განიცადეს. ფაქტია — პროფესიონალებში და სხვადასხვა შოუებში წასულ ჩემპიონებს ღირსეული შემცვლელები არ გამოუჩნდათ და ისეთი პირი უჩანს, ახალი თაობის მოციგურავეები ვერც ახლო მომავალში მიაღწევენ დიდ წარმატებებს.



ევგენი პლიუშჩენკომ რუსებს ოქროს გემო უნდა გაახსენოს

ამიტომაც რუსებმა თვალი ისევ ძველებს მიაპყრეს და მათი დიდ სპორტში დაბრუნება მოინდომეს. ანკესს პირველი მართლაც რომ დიდი ღლავი წამოეგო — ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ევგენი პლიუშჩენკო. ამ, ჭეშმარიტად ფენომენალურმა მოციგურავემ ოფიციალურად განაცხადა, რომ დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს და მომავალი სეზონისთვის მზადებას, უკვე ივლისში დაიწყებს.

პლიუშჩენკოს მწვრთნელმა ევგენი მიშინმა დაადასტურა თავისი შეგირდის განზრახვა, თუმცა იქვე, რუსული სპორტის მამების გასაგონად დაიწუწუნა — როდესაც ვარჯიშს დაიწყებს, ჟენიას ბიზნესის წარმოებისა და სხვადასხვა შოუებში მონაწილეობის საშუალება აღარ ექნება და რაღაცით ხომ უნდა იცხოვროს, მოციგურავის თვიური ხელფასი ხომ, მხოლოდ 3 ათასი რუბლიაო.

ამ სიტყვებს, ალბათ გაიგებენ იქ სადაც საჭიროა და პლიუშჩენკოს ფულს არ მოაკლებენ — რუსულ ფიგურულ ციგურაობას დღეს ისე უჭირს, ოღონდ პლიუშჩენკო დაბრუნდეს და ყველაფერს გააკეთებენ.

ცურვა



ლიზბეტ ლენტონი

# რეკორდმა პატრონი იცნო

თანამედროვეობის ყველაზე სახელიანმა მოცურავე ქალმა, ავსტრალიელმა ლიზბეტ ლენტონმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 100 მეტრ თავისუფალი სტილით ცურვაში.

მელბურნის მსოფლიოს ჩემპიონატი დღეების დამთავრებულია და მოცურავეებიც ყველა წესით და რიგით, უნდა ისვენებდნენ, მაგრამ რამდენიმე ამერიკელმა და ავსტრალიელმა ვარსკვლავმა მელბურნიდან ავსტრალიის მეორე დიდ ქალაქ სიდნეიში გადაინაცვლა და საჩვენებელ-კომერციული შეჯიბრება მოაწყო — ორ-ორი ქალი და კაცი მოცურავისგან შემდგარი გუნდები ერთმანეთს 4X100 მეტრ ესტაფეტაში გაეჯიბრნენ.

უცნაურობაც ისაა, რომ მაგალითად, ლენტონის პირადი მეტოქე ამერიკელთა მხრიდან რომელიმე მათი ქალი მოცურავე კი არა, თვით ვაჟბატონი მაიკლ ფელპსი გახლდათ. კაცთა შორის უძლიერესმა მოცურავემ ქალებში უძლიერესს 100 მეტრში ბარე 4 წამი (7 მეტრზე მეტი) მოუგო, ლენტონი კი იქით ეხუმრებოდა ფელპსს — ალიარე, რომ ჩემი გეშინოდა, წყალში ვხედავდი, როგორ კანკალებდიო.

ხუმრობა იქით იყოს და ლიბიმ 100 მეტრს 52,99 წამი მოანდომა, რაც 0,31 წამით ნაკლებია შარშან ბუდაპეშტში გერმანელი ბრიტა შტეფენის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე. ფინა-ს შტაბბინაში ბევრი იფიქრეს, დაემტკიცებინათ თუ არა ავსტრალიელის შედეგი და რაკი დარღვევა ვერ იპოვეს, ადგნენ და ლიბის ალალად ჩაუთვალეს ეს რეკორდი.

მოკლედ, მელბურნში ხუთი ოქროს მედლის მომგებმა ლენტონმა ცხოვრების ეს ყველაზე ლამაზი და წარმატებული პერიოდი რეკორდის დაბრუნებითაც გაილამაზა. სათქმელია, რომ ის 100 თავისუფალი მეტრის რეკორდს ორჯერ ფლობდა — 2003 წელს ინგე დებრუინს წაართვა, 2004 წელს ჯოდი ჰენრის დაუთმო, 2005 წელს ისევ მოიპოვა და კიდევ ერთი წლის შემდეგ შტეფენმა ჩამოართვა.

22 წლის ლენტონი სხვა მხრივაც ბედნიერია, სულ მალე თხოვდება. მისი საქმროც მოცურავეა, ოღონდ ნაკლებად ცნობილი — ლუკ ტრიკეტი.

**კოტე ყორშია**

ჭადრაკი

ქალთა და კაცთა ევროპის ჩემპიონატები

დრეზდენი. გერმანია. 2-16 აპრილი

# ილუმჟინოვმა ევროპა გახსნა

**დრეზდენში** ევროპის მე-8 ჩემპიონატი დიდი ზარზეიმით გაიხსნა. წარმოდგენაზე მრავალი საინტერესო ნომერი აჩვენეს, ბოლოს კი სცენაზე თვით ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი აბრძანდა და ყველა მონაწილეს წარმატება უსურვა.

ქართველებისთვის პირველი ტური წარუმატებელი გამოდგა. ცხრამეტი მონაწილიდან მხოლოდ ცხრამ მოიგო, ოთხმა ყაიმით ითამაშა და ექვსმა წააგო. საქართველოს ჩემპიონი ბაადურ ჯობავა 203-ე ნომრად განთესილ აზერბაიჯანელ ლოგმან გულიევს 30-ე სვლაზე დაუზავდა. პარტია ჩვენებურმა ყოჩაღად დაიწყო, თუმც უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და მეტოქეს ქულა გაუყო.

ჩემპიონატზე მედლების გარდა კაცთა მსოფლიოს თასისა და ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიც გათამაშდება.

**I ტური**

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| ლოგმან გულიევი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| დავით ლობჟანიძე (საქართველო) | 0:1 | ემილ სუტოვსკი (ისრაელი) |
| კრისტიან სჟაბო (უნგრეთი) | 1:0 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 1:0 | ტილ ვაპერმანი (გერმანია) |
| სტეპან კაპლე (გერმანია) | 0:1 | დავით შენგელია (საქართველო) |
| ალექსანდრ რიაზანცევი (რუსეთი) | 1:0 | თორნიკე სანიკიძე (საქართველო) |
| პერმან გრუტენი (ჰოლანდია) | 0:1 | გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო) |
| დავით არუთინიანი (საქართველო) | 1:0 | ფელიქს ჰილდერმანი (შვეიცარია) |
| კონსტანტინე შანავა (საქართველო) | 1:0 | მარკ ლიელი (ინგლისი) |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| სოფიკო გურამიშვილი (საქართველო) | 0:1 | თხან ტრან ჰოანი (უნგრეთი) |
| ანასტასია კარლოვიჩი (უკრაინა) | 0:1 | ნინო ხურციძე (საქართველო) |
| სირანუშ ანდრიასიანი (სომხეთი) | 0:1 | ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0,5:0,5 | იულია გრომოვა (რუსეთი) |
| კატარინა ლეიტე (პოლონეთი) | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| სოფიო გვეტაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | იოანა-სმარანდა პადურარიუ (რუმინეთი) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0:1 | ნარგიზ უმუდოვა (აზერბაიჯანი) |
| ანა-კრისტინა კოპინიტცი (ავსტრია) | 0,5:0,5 | სალომე მელია (საქართველო) |
| გალინა შმირინა (გერმანია) | 0:1 | სოფიკო ხუხაშვილი (საქართველო) |
| მარიამ დანელია (საქართველო) | 0:1 | ანა ბენდერაკი (სერბია) |




დანიელა ჰანტუხოვა და ნადია პეტროვა

# როგორც საჭიროა
## ნადიამ კაია შეჭამა

**ქალები**
ამელია აილენდი. აშშ. თიხნარი
საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

ნადია პეტროვა (1, რუსეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:4 6:0; ძი ძენგი (15, ჩინეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:3 6:3; კატარინა სრებოტნიკი (11, სლოვენია) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 2:6 6:3 6:2; დინარა საფინა (5, რუსეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4 7:5; დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:1 6:3; დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:1 6:3

**რადგანაც** კვირის მიწურულს სადევისთასო თამაშები უნდა გაიმართოს, ამ კვირაში ტურნირების სიმწირეა. მართალია, ქალებს არ უწევთ სანაკრებო ბატალიებში ჩართვა, მაგრამ უმეტესობამ მაინც დასვენება არჩია, ხოლო ვინც სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განცდის, თავი ამელია აილენდზე მოიყარეს, სადაც ყველა სიკეთესთან ერთად კარს მომდგარი სათიხნარო სეზონისთვის პირველ მზადებას გადიან.

წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა ნადია პეტროვამ, რომელმაც ახლახან ორ ბოლოლა ტურნირზე — ინდიან უელსსა და კი ბისკეინში — ღირებული ვერაფერი გააკეთა და ამ წარუმატებლობის ანაზღაურებას ფლორიდულ გრუნტზე ეცდება.

მოქმედ ჩემპიონს გუშინ კაია კანეპისთან მოუწია დაპირისპირება და მთლიანობაში საკმაოდ იოლად მოუგო. ესტონელმა მხოლოდ პირველ სეტში გამოიდო თავი, როცა 1:4 ჩამორჩენა აღმოფხვრა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ პეტროვამ შემდეგ ნახევარ საათში ზედიზედ რვა გეიმი აიღო და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა.

„ამაზე იტყვიან: საკუთარ თავს პრობლემები შეუქმნაო. არ უნდა მიმეცა დაწევის საშუალება, მაგრამ რამდენიმე უაზრო შეცდომა დავუშვი და... თუმც მერე ისე ვითამაშე, როგორც საჭიროა და შედეგიც მივიღე" — თვითდაჯერებულია პეტროვა.

ნახევარფინალის საგზურს რუსს ტურნირზე მე-15 ნომრად განთესილი ძი ძენგი შეეცილება, რომელმაც ნერვაუტოკებლად დასცა მარა სანტანჯელო.

მეოთხედფინალშია ოციოდ დღის წინ ინდიან უელსში ნატრიუმფალი დანიელა ჰანტუხოვაც, რომელიც აქაც ფავორიტთა შორის მოიხსენიება. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ სლოვაკი ლამაზმანი საკმაოდ მაღალ, მესამე ნომრად არის განთესილი. გუშინ კი ჰანტუხოვამ ნურია ლაგოსტერა ვივესს ჩაუტარა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი, როცა სულ რაღაც 50 წუთში გამოუყვანა წირვა და მხოლოდ ოთხი გეიმი აალებინა.

სიფრიფანა სლოვაკს ახლა თანამემამულე დომინიკა ციბულკოვასთან მოუწევს დაპირისპირება. ამ უკანასკნელმა კი მეოთხედფინალში გასვლა მასზე რანგით მაღალი ვერა დუშევინას დამარცხებით გაინაღდა.

მეოთხედფინალშია კიდევ ერთი რუსი, დინარა საფინაც, რომელიც საკმაოდ მძიმე ბრძოლაში გაუმკლავდა მიქაელა კრაიჩეკს.

**ქახა ლომჯარიძე**




# გოვორცოვამ სოფო დაამუნჯა

**ქართული** ქალთა ჩოგბურთის მესამე ნომერი სოფო მელიქიშვილი ეგრეც ვერ მოხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქის პელემში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფომ ორ მეტოქეს — კანადელ ჰეიდი ელ ტაბაჰსა და არგენტინელ ერიკა კრაუჰს კი აჯობა, მაგრამ მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში უშანსოდ — 1:6 0:6 დამარცხდა კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილ 18 წლის ბელარუს ოლგა გოვორცოვასთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 218-ე პოზიცია უჭირავს.



## რეგულარული ჩემპიონატი

# ქარიშხალი თოვლივით დადნა

## ვილას ახსოვს შარშანდელი კაროლინა

3 აპრილი

**პიტსბურგი 1:4 ბუფალო**
*1:1 0:1 0:2*
0:1 კალინინი (11), 1:1 რეკი (13), 1:2 როი (23), 1:3 ვანეკი (45), 1:4 პომინვილი (46)

**ტამპა 3:2 კაროლინა**
*0:1 1:1 2:0*
0:1 უიტნი (13), 0:2 ბრინდამორი (22), 1:2 პერენი (29), 2:2 ლეკავალიე (42), 3:2 ბოილი (44)

**ვანკუვერი 4:2 ლოს ანჯელესი**
*0:1 3:1 0:1*
0:1 არმსტრონგი (15), 0:2 ბრაუნი (23), 1:2 სმოლინსკი (26), 2:2 პაიეტი (34), 3:2 კუკი (40), 4:2 ნესლუნდი (60)

**ტორონტო 3:2 ფილადელფია**
*0:0 2:1 0:1 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 პოტულნი (22), 1:1 ვაიტი (30), 2:1 გილი (35), 2:2 იორკი (56), 3:2 მაკეიბი (63)

**ვაშინგტონი 1:0 ფლორიდა**
*0:0 1:0 0:0*
1:0 ოვეჩკინი (26)

**მონრეალი 2:0 ბოსტონი**
*1:0 0:0 1:0*
1:0 კოივუ (17), 2:0 კოივუ (55)

**მინესოტა 3:0 ედმონტონი**
*1:0 1:0 1:0*
1:0 კოივუ (16), 2:0 ფოსტერი (38), 3:0 რადივოევიჩი (46)

**ნეშვილი 2:3 ჩიკაგო**
*0:0 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 ჰოლმკვისტი (23), 1:1 ტიმონენი (28), 2:1 ჰამჰუისი (46), 2:2 ბაიფულენი (51)

**ნიუ ჯერსი 2:1 ოტავა**
*0:0 0:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 მედენი (51), 1:1 ალფრედსონი (51)

**კალგარი 3:4 კოლორადო**
*1:1 1:2 1:1*
1:0 ფრიზენი (19), 1:1 კლარკი (20), 2:1 ჰამრლიკი (27), 2:2 რიჩარდსონი (33), 2:3 შესტენი (35), 2:4 საკიკი (55), 3:4 ლენგკოუ (58)

**ფინიქსი 2:5 სენტ ლუისი**
*1:3 1:2 0:0*
0:1 ვაიტი (4), 0:2 ჩაიანეკი (7), 1:2 კარჩილიო (15), 1:3 ჯეკმენი (16), 1:4 დვორჟაკი (30), 2:4 რენიკი (35), 2:5 კინგი (36)

**აილენდერსი 3:2 რეინჯერსი**
*1:0 1:2 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ეშემი (3), 2:0 იაშინი (26), 2:1 შენაჰენი (30), 2:2 ნიულანდერი (33)

**დეტროიტი 3:0 კოლუმბუსი**
*0:0 0:0 3:0*
1:0 კალდერი (41), 2:0 ბერტუცი (58), 3:0 დრეიპერი (60)

**საჩემპიონო** რეგალიები ჩამოერთვა „კაროლინას", რომელმაც მესამე პერიოდში ორშაიბიანი უპირატესობის განიავებით ტიტულის დაცვის ყოველგვარი შანსი დაკარგა. „ტამპამ" კი ამ გამარჯვებით ფაქტობრივად გაინაღდა საპლეიოფო საგზური და ამას დიდწილად წლეულს ფანტასტიკურად მოთამაშე ვენსან ლეკავალიეს უნდა უმადლოდეს, რომელმაც გუშინაც სასტიკად დაარბია „ქარიშხალთა" დაცვა. „კაროლინა" კი პირველი გუნდია 1996 წლის შემდეგ, ვინც ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ სეზონში პლეი ოფში ვერ გადის — 11 წლის წინ ასეთივე „გმირობა" „ნიუ ჯერსიმ" ჩაიდინა.

რახან „ნიუ ჯერსიზე" დავიწყეთ, მათი სუპერმეკარის მარტინ ბროდოს მიღწევაზეც ვთქვათ, რომელმაც გუშინ სეზონში 47-ე გამარჯვება მოიპოვა და „ფილადელფიის" ლეგენდალური კიპერის ბერნი პარენტის მიერ 1973-74 წლების სეზონში დამყარებული სამუდამოდ მიჩნეული რეკორდი გაიმეორა. მართალია, პარენტის მიღწევა უფრო ფასობს, რადგანაც მაშინ არც ოვერტაიმები იყო და, მით უმეტეს, არც ბულიტების სერია, შედეგად მატჩები ფრედაც სრულდებოდა, მაგრამ ბროდოს ეს შედეგი მაინც ძალიან შთამბეჭდავია. მას კიდევ ორი თამაში აქვს დარჩენილი პარენტის რეკორდის გასაუმჯობესებლად — „ნიუ ჯერსის" კი ქულაც ეყოფა დივიზიონის გამარჯვებულის ტიტულის გასანაღდებლად.

სეზონში მერვე, კარიერაში კი 76-ე შატაუტი გაახერხა დომინიკ ჰაშეკმა, რომელიც პლეი ოფის წინ სასწაულ ფორმაშია. „დომინატორი" მშრალი მატჩების რაოდენობით ედი ბელფურსა და ტონი ესპოზიტოს დაეწია და ამ მაჩვენებლით ნჰლ-ის ისტორიაში მათთან ერთად მერვე ადგილს იყოფს. ვეტერანი ჩეხის „დეტროიტმა" კი „კოლუმბუსი" დასცა.

პლეი ოფში მოსახვედრად ბრძოლას არ წყვეტს „კოლორადო", რომელმაც შანსი უშუალო კონკურენტ „კალგარის" დამარცხებით შეინარჩუნა. „ზვავები" ფონს ისევ ლეგენდარული კაპიტნის ჯო საკიკის დიდებული თამაშის წყალობით გავიდნენ, რომელმაც ჯერ სამი საგოლე გადაცემა ჩამოურიგა პარტნიორებს, შემდეგ კი მატჩის მომგები შაიბაც შეაგდო. ეს საკიკისთვის კარიერაში გატანილი 609-ე გოლი გამოდგა და ჯომ ყველა დროის სნაიპერთა სიაში დინო სისარელის გადაასწრო და მე-15 პოზიციაზე დამკვიდრდა. თუმც ისიც ვთქვათ, რომ დარჩენილი სამი მატჩიდან ერთის მოგების შემთხვევაში "კალგარი" პლეი ოფში ადგილს მაინც გაინაღდებს, "კოლორადო" კი, პირველად 1993-94 წლების სეზონის შემდეგ, ვერ შეძლებს სტენლის თასისთვის ბრძოლას.



მარტინ ბროდომ სეზონში 47-ე მატჩი მოიგო და ბერნი პარენტის 33 წლის წინ დამყარებული რეკორდი გაიმეორა

**ქახა ლომჯარიძე**

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 7 აპრილი. 16.00

# საქართველო — ჩეხეთი

# მგელაძის ფაქტორი: 15 წუთი

## მერე საკითხავი ანგარიშია

**რა შეიძლება იყოს 7 აპრილს გასამართი საერთათასო საქართველო — ჩეხეთის მატჩის ინტრიგა? ალბათ ის, რომ ჩეხების მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძეა და კიდევ, რა სხვაობით მოუგებენ ჩვენები სტუმრებს**




**მეორე** „ინტრიგაზე“ ახლავე შევთანხმდეთ. რაგბი სპორტის ალბათ ყველაზე ლოგიკური სახეობაა და თუ თავი არ აიგდე, სენსაცია მილიონში ერთხელ ხდება. ამიტომაც ძნელად რომ ქართველებს ჩეხების ძლევა გაუჭირდეთ, ოღონდ საკითხავია, რა ანგარიშით. ორი დღის წინ რაგბის კავშირში მოწყობილ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი „ლელოები“ ჩეხებს ხელდახელ შეუტევენ და შეეცდებიან, მაქსიმალურად დიდი ანგარიშით მოუგონ. ანუ დანდობა არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს ქართველი მწვრთნელი ჰყავთ.

საქართველო და ჩეხეთი აქამდე ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ჩვენებმა ყველა მატჩი მოიგეს. აქედან ორი მატჩი FIRA-ს, ანუ ევროპაში რაგბის განვითარების საბჭოს პირველობა იყო, ოთხი კი ევროპის ერთა თასის. FIRA-ს პირველობა ერთა თასის წინამორბედი ტურნირი გახლდათ.

სარეკორდოდ ქართველებმა ჩეხები შარშანწინ ქუთაისში დაამარცხეს — 75:10. სტატისტიკით „ლელოებს“ ყველაზე მეტად თერთმეტი წლის წინ, პრაღაში გაუჭირდათ. მაშინ მხოლოდ ოთხქულიანი სხვაობა აღინიშნა. იქიდან მოყოლებული კი ანგარიშში სხვაობა მატჩიდან მატჩამდე იზრდება.

„პირველი 10-15 წუთი ალბათ გაგვიჭირდება. ჩეხეთს ნუ ეხუმრობით, თავიდან მაგრად მოგვაწვება, ეს იქნება მატჩის საკვანძო მონაკვეთი, მერე კი თუ თავიდან ბოლომდე ავეწყვეთ, ველარ შეგვაჩერებენ“ — ეს უკვე ჩვენების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით ჩავლეიშვილმა გვითხრა გუშინწინდელ ვარჯიშზე.

ერთიც, ჩავლეიშვილის თქმით, დიდი შანსია, ჩვენებს პრობლემა აუტებისას შეექმნათ, რაკი გუნდში მხოლოდ ორი მსუბუქი მხტომელი, გიორგი ჩხაიძე და ზურაბ მჭედლიშვილი გვყავს, მაშინ, როცა ჩეხეთის ნაკრებში ბარე ოთხი-ხუთი ახმახი მეაუტეა.

ჩეხების შემადგენლობასაც მივადექით და აქვე ვთქვათ, რომ სტუმრებს მხოლოდ ორი ლეგიონერი ეყოლებათ და ამათგან არც ერთია თავისი კლუბის საკვანძო მოთამაშე — კლუბებიც მეორეხარისხოვანია. ინფორმაციისთვის: ორივე ლეგიონერი მორკინალია, რომან შუსტერი სტაჟიანი მენაკრებეა და ფრანგულ „ლიმოჟში“ თამაშობს, ხოლო პაველ ინდრაკი უელსურ „ვიპელში“ რაგბობს.

ახლა მთავარი. როგორც ვთქვით, ჩეხეთის ნაკრებს ქართველი ლევან მგელაძე წვრთნის, ვინც სამიოდ თვის წინ ჩვენი რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი იყო. მანამდე კი ჩეხურ „სპარტას“ თავკაცობდა.

ლევან მგელაძე შინაურ რაგბიში ჭიპმოჭრილი კაცია. 2002 წელს ბათუმის „დათვებთან“ ერთად მგელაძემ საქართველოს ჩემპიონატი და თასი მოიგო. შარშანწინ კი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა.

ჩვენების საშაბათო შემადგენლობიდან მგელაძის ხელში გაუვლიათ გიორგი ჟღენტს, დავით დადუნაშვილს, მამუკა მაგრაქველიძეს, ზვიად მაისურაძეს, ირაკლი აბუსერიძეს, ბიძინა სამხარაძეს, დავით კაჭარავას და მალხაზ ურჯუკაშვილს.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო-ჩეხეთის ყველა მატჩი

1996. 12 აპრილი. ფირას პირველობა. თბილისი
საქართველო 20:3 ჩეხეთი

1996. 22 სექტემბერი. ფირას პირველობა. პრაღა
ჩეხეთი 14:18 საქართველო

2003. 22 მარტი. ერთა თასი. პრაღა
ჩეხეთი 15:30 საქართველო

2004. 20 მარტი. ერთა თასი. თბილისი
საქართველო 23:7 ჩეხეთი

2005. 12 ივნისი. ერთა თასი. ქუთაისი
საქართველო 75:10 ჩეხეთი

2006. 10 ივნისი. ერთა თასი. რიჩანი
ჩეხეთი 3:24 საქართველო

### ჩეხეთი საქართველოსთან

შერკინება: იან ოსვალდი (ტატრა, ჩეხეთი), იან ზახარიაში (სპარტა, ჩეხეთი), რომან შუსტერი (ლიმოჟი, საფრანგეთი), ჟირი სკალი (სპარტა პრაღა, ჩეხეთი), იან ბენდა (სპარტა, ჩეხეთი), პაველ ინდრაკი (პვიპელი, უელსი), მარტინ მენსიკი (ბრნო, ჩეხეთი), ვლასტა მადრი (პრაღა, ჩეხეთი), იან რუდოლფი (პეტროვიცე, ჩეხეთი), კარელ კუჩერა (რიჩანი, ჩეხეთი).

უკანა ხაზი: პაველ სიროვი (პრაღა, ჩეხეთი), ვიტესლავ დოსედლა (ბრნო, ჩეხეთი), ტომაშ კრეჟჩი (ბრნო, ჩეხეთი), იაროსლავ ტომჩიკი (ჰავიროვი, ჩეხეთი), პაველ კამრდა (რიჩანი, ჩეხეთი), პაველ ვოკრუჰლიკი (სპარტა, ჩეხეთი), ტომაშ ნოვიცკი (რიჩანი, ჩეხეთი), მიხალ შლანგერი (პეტროვიცე, ჩეხეთი), ჰონერ ლუკაში (ტატრა, ჩეხეთი), მიხალ ჟირმანი (სლავია, ჩეხეთი)

**19-წლამდელთა მსოფლიოს თასი**
**ბელფასტი. 4-16 აპრილი**

საქართველო 3:0 რუმინეთი

**18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი**
**დუბლინი. 2-14 აპრილი**

საქართველო 17:8 პორტუგალია



# ევროპის ჩემპიონატი

ბელგრადი, სერბეთი. 6-8 აპრილი



# პეკინი ბელგრადში იწყება

## ხაბარელის შვიდკაცა და ველიჯანაშვილის ხუთქალა

**გუშინ** საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომული შეკრებიდან თბილისში დაბრუნდა, რამდენიმე საათში კი აეროპორტს მიაშურა და თბილისი-ვენა-ბელგრადის რეისით სერბეთში გაფრინდა. ხვალიდან კვირამდე ბელგრადში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. შოთა ხაბარელის შვიდეულის გარდა ტატამზე გოდერძი ველიჯანაშვილის გაწვრთნილი ქალთა ხუთეულიც გავა. ისედაც მნიშვნელოვანი ტურნირის დამატებითი დატვირთვა ოლიმპიური ლიცენზიების ქულების დარიცხვა იქნება. პეკინის ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლას ძიუდოისტები სწორედ ხვალიდან დაიწყებენ.

„მოსამზადებელი პერიოდი გეგმის მიხედვით გავიარეთ და ბელგრადში ამ მომენტისთვის საუკეთესო შვიდეულით მივდივართ. ერთადერთი სანერვიულო დავით ქევხიშვილის ტრავმისშემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლო ბორჯომული შეკრება სრულყოფილად გაიარა და იმედია, ჩვეულად ჭიდაობასაც მოახერხებს“ — გვითხრა გუშინ შოთა ხაბარელმა.

შარშანდელ ევროპირველობაზე საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი მოიპოვა. 66 კილოგრამში მოჭიდავე ზაზა კედელაშვილი ჩემპიონი გახდა, ხოლო მძიმეწონოსანმა ზვიად ხანჯალიაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. ზაზა საბელგრადო შემადგენლობაშიცაა და, ცხადია, ნაკრების ლიდერადაც მიიჩნევა, ხოლო ზვიადს შიდა კონკურენციაში ლაშა გუჯეჯიანმა ბოლო საერთაშორისო ტურნირზე, ვარშავულ მსოფლიოს თასზე აჯობა.

შარშანდელ შვიდეულში კიდევ ორი ცვლილება განხორციელდა. გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ) გიორგი ბაინდურაშვილმა შეცვალა, გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ) — ლევან ჟორჟოლიანმა. ცნობისთვის, ბაინდურაშვილს და ჟორჟოლიანს აქამდე ასეთ მასშტაბურ ტურნირზე არასოდეს უჭიდავიათ.

სამდღიანი ჩემპიონატის პირველ დღეს ტატამზე 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიები გავლენ და დღის ბოლოს ჩემპიონ-პრიზიორებსაც გამოავლენენ. 7 აპრილს 73 და 81-კილოგრამიანები იჭიდავებენ, 8-ში — 90, 100 და +100-კილოგრამიანები. ფინალური ბრძოლები ჩვენი დროით საღამოს ექვსი საათისთვის დაიწყება და პირდაპირი რეპორტაჟები საზოგადოებრივი მაუწყებლით გადმოიცემა. ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით კი მსურველებს ყველა წინასწარი შეხვედრის ყურება შეეძლებათ, ოღონდ WWW.EUJUDO.COM-ის ამ სერვისით სარგებლობა ფასიანი იქნება — დღეში ორი ევრო ეღირება.

**ოთარ გაღლაძელიძე**

### საქართველოს ნაკრები

**კაცები**

| | |
|---|---|
| 60 კგ | ნესტორ ხერგიანი |
| 66 კგ | ზაზა კედელაშვილი |
| 73 კგ | დავით ქევხიშვილი |
| 81 კგ | გიორგი ბაინდურაშვილი |
| 90 კგ | ირაკლი ცირეკიძე |
| 100 კგ | ლევან ჟორჟოლიანი |
| +100 კგ | ლაშა გუჯეჯიანი |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 48 კგ | ნაია ვეშაგური |
| 52 კგ | მარიამ ტარუაშვილი |
| 57 კგ | დურსადაფ ქერიმოვა |
| 63 კგ | ანა ძაძამია |
| +78 კგ | ირინა ლეონიძე |

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები



AFP



AFP

**რომა (იტალია) 2:1 მანჩესტერი (ინგლისი)**

1:0 ტადეი (44), 1:1 რუნი (60), 2:1 ვუჩინიჩი (66)
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, კასეტი, ვილჰელმსონი (ვუჩინიჩი 62), ტადეი (როსი 82), დე როსი, პეროტა, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰაინცე, ფერდინანდი, ოში, ბრაუნი, კ. რონალდუ, გიგზი (საა 77), კარიკი, სქოულზი, სოლსკიაერი (ფლეტჩერი 72), რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სქოულზი, პეროტა, სოლსკიაერი, ჰაინცე
გაძევება: სქოულზი (34)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
77 000 მაყურებელი

**ჩელსი (ინგლისი) 1:1 ვალენსია (ესპანეთი)**

0:1 სილვა (30), 1:1 დროგბა (53)
ჩელსი: პ. ჩეხი, ლ. დიარა, ტერი, რ. კარვალიუ, ე. კოული, ს. კალუ (რაიტ-ფილიპსი 74), ბალაკი, ლამპარდი, მიკელი (ჯ. კოული 74), შევჩენკო, დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ვისენტე (ანგულო 57), ალბელდა, ალბიოლი, ხოაკინი (უ. ვიანა 86), სილვა, ვილია (ხორხე ლოპესი 90)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: სილვა, ალბელდა, დროგბა, აიალა, დიარა
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
38 065 მაყურებელი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სენტ მირენი 1:1 ჰიბერნიანი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ერდრი 0:0 გრეტნა
ლივინგსტონი 0:0 კლაიდი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური

ჰამბურგი (მ) 0:0 ზანკტ პაული
უნიონი 0:2 კილი

### ავსტრია

თასის ნახევარფინალი

ზალცბურგი (მ) 1:1 (1:33) *ავსტრია*

### სლოვაკეთი

თასის მეოთხედფინალი

მოცენოკი 2:2 (6:7პ) *სენეცი*
რუჟომბეროკი 2:1 ბანსკა ბისტრიცა
მორავცე 1:0 ნიტრა

### ხორვატია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

*სლავენი* 3:2 რიეკა (0:0)
ჰაიდუკი 2:2 *დინამო* (0:1)

### სლოვენია

I ლიგა
XXV ტური

პრიმორიე 3:1 მარიბორი
დრავა 1:6 ბელა კრაინა
ფაქტორი 0:1 პუბლიკუმი
ნაფტა 0:0 დომჟალე
კოპერი 1:2 ნოვა გორიცა

### უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

*პაკში* 2:3 ფერენცვაროში (2:0)

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა
გადადებული მატჩი

ლიტექსი 2:0 სლავია

### რუსეთი

თასის მეოთხედფინალი
I მატჩები

დინამო (მ) 1:0 ლოკომოტივი
როსტოვი 1:2 დინამო (ბრ)
მოსკვა 3:2 კრილია
ზენიტი 1:2 სპარტაკი

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

*ვროცლინი* 3:1 რუხი (1:0)

# სილ ვაა!

## რომაული არ შეგერგება

**გლადიატორებმა** „სტადიო ოლიმპიკოზე" კი დაამარცხეს ალექს ფერგიუსონის ბიჭები, მაგრამ „მანჩესტერს" სიცოცხლე უეინ რუნის შესანიშნავმა გოლმა შეუნარჩუნა.

ლუჩანო სპალეტის შეგირდები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, თუმც სასურველი ანგარიშით მოგება და სამანჩესტეროდ სოლიდური მარაგის დაბევება ვერ მოახერხეს — ყველაფერს ერთი კვირის შემდეგ ღრიალა ჩრდილოელთა მიერ გადაჭედილ „ოლდ ტრაფორდზე" გაეცემა პასუხი.

თამაში რომაელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა მეტოქეები შებოჭილნი ჩანდნენ და საწყის წუთებში არც მასპინძელთა და არც ინგლისელთა კართან განსაკუთრებული ხიფათი არ შექმნილა.

34-ე წუთზე ზღვარსგადასული უხეშობის გამო პოლ სქოულზს მოედნიდან უკრეს თავი და „რომასაც" ეს შანსი ხელიდან არ გაუშვია — როდრიგო ტადეიმ შესვენებამდე მცირე ხნით ადრე შელეწა ედვინ ვან დერ სარის კარი. ეს კუთხურის ჩაწოდების შემდეგ მოხდა, ბრაზილიელმაც ილბლიან-რიკოშეტიანი დარტყმით გაახარა „სტადიო ოლიმპიკო".

„რომა" მეორე ტაიმშიც უტევდა, თუმცა გოლი იტალიელთა კარში გავიდა — კრიშტიანუ რონალდუს და ოლე გუნარ სოლსკიაერის აქტიურობით ბურთი უეინ რუნიმ მკერდით გაისწორა, მოხერხებული მოძრაობით მცველი სადღაც დაკარგა და მშვიდად მიცხრილა დონი.

ინგლისელებს იმედი მიეცათ, მაგრამ მოედანზე რამდენიმე წუთის წინ ვილჰელმსონის ნაცვლად შესულმა მირკო ვუჩინიჩმა რომი კვლავ ტიფოზთა ოვაციებით გააყრუა და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში, 2:1 აანთო: ამანტინო მანსინის პირველი დარტყმა ვან დერ სარმა კი უკუაგდო, მაგრამ ვუჩინიჩის საკონტროლო გასროლას ველარაფერი მოუხერხა.

ცხადია, ეს მატჩი ინციდენტის გარეშე ვერ ჩაივლიდა — რომაელმა და მანჩესტერელმა გულშემატკივრებმა ერთმანეთი ჯერ კიდევ თამაშამდე დაჩეხეს. ტრიბუნებზე კი ინგლისელი ფანები და რომაელი პოლიციელები წაეკიდნენ ერთმანეთს და...

შვიდი კაცი დაჭრილ-დასახიჩრებულია, აქედან სამი ალბიონელი გახლავთ.

ლონდონში კი „ვალენსიამ" „ჩელსის" უსიამოვნო სიურპრიზი ჩაუტანა. საქმე ისე მიდიოდა, „ლამურები" „სტემფორდ ბრიჯის" „ლომებს" საკუთარ სახლში ასამარებდნენ, მაგრამ დიდიე დროგბამ ესპანელ მცველთა შეცდომა გამოიყენა და „ჩელსი" ოდნავ დაამშვიდა.

მატჩის დასაწყისში რობერტო აიალა ანდრეი შევჩენკოს საჯარიმოში ეუხეშა, მაგრამ არბიტრმა სტუმრების პენალტით დასჯა საჭიროდ არ ჩათვალა.

შემდეგ კი დავიდ სილვას ჯადოგოლი იყო — ვალენსიელმა მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, წინ წაიწია და შორეულ ცხრიანში გაუტანა პეტრ ჩეხს.

ვინძლო ამ გოლის შემდეგ „ჩელსის" უფროსობამ ერთი დავიდიდან (ვილია) ყურადღება მეორეზე (სილვა) გადაიტანონ — ახლა რომან აბრამოვიჩის სატრანსფერო სამიზნე ალბათ უკვე წარმოშობით კანარელი „ლამურა" გახდება.

თუმცა ესპანური ბომბი მთელი სიძლიერით არ აფეთქებულა ლონდონში — შესვენებიდან სულ რამდენიმე წუთში ეშლი კოულმა ბურთი სანტიაგო კანისარესის საჯარიმოში ჩაჰკიდა, აიალა შეცდა და დროგბასაც სხვა რაღა უნდოდა — თავურით გაათანაბრა ანგარიში.

საბოლოოდ 1:1 და ერთმა ღმერთმა იცის, რა მოხდება „მესტალიაზე"...

**ლადო ხომერიკი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge